პროდ. ჯონ. ჯაჯანიძე.

ქართველთა მოქცევის მთავარი ისტორიულ-ქრონოლოგიური საკითხები*.

ყველამ ვიცით, თუ რა როლი უთამაშნია ჩვენი ერის წარსულში ქრისტიანობას: მისი ზეგავლენით და მის ნიადაგზე ჩამოყალიბებულა სარწმუნოებრივი, პოლიტიკური და კულტურული ფიზიონომია ქართველი ერისა. მას მიუჩენია მისთვის გარკვეული ადგილი საერთაშორისო ოჯახში და თავისებური ელფერი მიუცია მისი ცხოვრებისათვის. ამიტომ ყველასათვის საინტერესო უნდა იყოს საკითხი, თუ როდის შემოვიდა ჩვენში ქრისტიანობა, რომელმაც შექმნა სულ ახალი ხანა ჩვენს ისტორიაში.

საბწუსაროდ, რამდენადაც საინტერესოა ეს საკითხი, იმდენად ბურუსითაა ის მოცული. თუმცა ბევრი უწერიათ და ულაპარაკნიათ ამ თემაზე, მაგრამ საკითხი ჯერაც ლად ალის დაჩენილი და მის შესახებ ჩვენ დღეს იმაზე მეტი არ ვიცით, რაც ჩვენმა შორეულმა წინაპრებმა იცოდნენ. ეს გარემოება გვაიძულებს ჩვენ ხელი მოვჭიდოთ ამ კულტურულ-ისტორიულ პრობლემას და წარმოვადგინოთ ახალი ცდა მისი მეცნიერულად გაშუქებისა.

I

ქრისტიანობის ისტორიას ჩვენში ზოგიერთები თვით ქრისტეს დროიდან იწყებენ. სახარებაში მოთხრობილია, რომ, როდესაც, ლაზარეს აღდგინების შემდეგ, ქრისტე იერუსალიმში მივიდა პასექის დღესასწაულზე, იქ, სხვათა შორის, მოსულიყვნენ „ვინმე წარმართთაგანიცა: ესენი მოვიდეს ფილიპესა და ეტყოდეს მას: უფალო, გვნებავს იესოჲს ხილვაჲ. მოვიდა ფილიპე და ჰრქუა ანდრეას, და მოვიდეს ანდრეა და ფილიპე და ჰრქუეს იესოს“ (იოან. XII. 20-22). თეიმურაზ ბატონიშვილის თქმით, ეს „წარმართთაგანი“ იყვნენ საქართველოდან[1], მაშასადამე, ქრისტე ჩვენში თითქოს მისსავე სი-

* წაკითხულია საისტ.-საეთნ. საზოგ. [illegible] 1925 წ. დეკ. 12.

[1] М. Сабинин, История грузин. церкви до конца VI в. стр. 6, пр. 1.

ნდაა და შეთხზულია წმ. ნინოს ცხოვრების დაწერის შემდეგ [illegible] -ადრეს მეათე საუკუნისა [1].

II

რაც შეეხება მოციქულების სამისიონეოო მოღვაწეობას ჩვენში, საკითხი ამის შესახებ პირველად გიორგი ათონელმა წამოაყენა თეორიულად მეთერთმეტე საუკუნეში. როდესაც გიორგის კაბალითი ჰქონდა ანტიოქიის პატრიარქ პეტრე მესამესთან ქართული ეკლესიის დამოუკიდებლობის შესახებ, მან საბუთად მოიყვანა „წიგნი [illegible]ფმოსლვაჲ ანდრია მოციქულისაჲ" და უთხრა პატრიარქს: „წმიდაო მეუფეო. შენ იტყუ, ვითარმედ თავისა მის მოციქულთაჲსა პეტრეს საყდარსა ვზით. ხოლო ჩვენ პირველწოდებულისა და ძმისა ესისა მწოდებელისა ხაწილნი ვართ და საბწყსონი, შის მიერ მოქცეულნი და განათლებულნი: და ერთი წმიდათა ათორმეტთა მოციქულთაგანი, სიმონს ეიტყუ კანანელსა. ქუეყანასა ჩუენსა დამარხულ არს აფხაზეთს, ოიმელსა ნიკოფსი ეწოდების. ამათ წმიდათა მოციქულთა[გან] განათლებულნი ვართ" [2]. ამ ცნობას იმეორებს მერე ეფრემ მცირე თავის თხზულებაში „უწყებაჲ მიზეზთა ქართველთა მოქცევისათაჲ", სადაც ის ამბობს: „ერთად კიდეთა სოფლისათა [illegible]ქმის ჩუენთჳსცა მიმოსლვასა შინა წმიდათა მოციქულთასა ანდრია პირველწოდებულისა მიერ ქადაგებაჲ შორის ავაზგიაჲსა, რომელ არს აფხაზეთი, და მიერ წარსლვაჲ ოსეთად, და კუალად ბართლომეს მიერ მიმოვლაჲ ჩრდილოეთისაჲ, ოიმელ არს ქართლი" [3]. ამასვე იმეორებს რეის-ურბნისის კრების (1103 წ.) ძეგლის წერა. სადაც ნათქვამია: „პირველწოდებული ანდრია ჩუენადმდე მოწ�ჰქადაგა საცხოვრებელი ქადაგება საბარეებისა ყოველსა ქუეყანასა საქართველოჲსასა და ურიცხუნი სიმრავლენი ერთიანი განაშორნა საცთურისაგან ჴრჩობლეშმაკეულებისა და ერთისა ღმრთისა და ქრისტეს მისისა თანაარსით მამით სულითურთ რწმუნებით თაყუანისცემაჲ ასწავა" [4]. წმ. ნინოს ცხოვრების გადამშვეტადვრასებელი ბერი [illegible]ესენი, რომელიც მეთორმეტე საუკუნის პირველს ნახევარში მოღ-

[1] კ. კეკელიძე, ნაწყვეტი ქართული ჰაგიოგრაფიის ისტორიიდან, ტფილისის უნივერსიტეტის მოამბე, I, 13-14.

[2] ათონის ივერიის მონასტრის 1074 წლის ხელნაწერი ანდერძებით, გვ. 315,

[3] თ. ეორდანია, ქრონიკები I, 34.

[4] საქართველოს საბოთხე, ტ. 524

ვაწყობდა[1]. ამბობს: „ხოლო ჭეშმარიტებისი მოსახელე, [illegible]
ლი მოციქული ანდრია, ...შეძდგომად მარტკლიისა კუალად ვანვი-
და საქმესა ქადაგებისასა, რომლისა თანა იყვნეს სიმონ კანანელი და
მატათა და თადეოზ, და მიიწიენეს რა ედესად, თადეოზ დაშთა ბერ-
ხოლო დიდებული ანდრია ორთა მათთანა ვიდოდა ქალაქითი-ქალა-
ქად და სოფლითი-სოფლად..... ვიდრემდის მიიწიენეს ქუეყანასა
ქართველთასა და უქადაგეს სიტყუაჲ ცხოვრებისაჲ. იყო ვინმე მათ
კერძოთა დედაკაცი მთავარი, რომელსა ჰრწმენა ქადაგება მოციქულ-
თაჲ, და მატათა სხუათა თანა მოციქულთა დაადგრა ბუნ და ბრა-
ვალნი მოაქცინეს სარწმუნოებად.... ვიდოდეს და ასწავებდეს ვიდრე
მდინარედ ჭოროხადმდე და სოფლებთა ნიგალისათა. ხოლო დიდე-
ბული ანდრია სიპონიოსურთ სხუათა თანა წარვიდა ოვსეთად და მიეა
კუალად აფხაზეთად და სევასტოპოლად, რომელ არს ცხუმი, ქადა-
გებდა და ასწავებდა და ურიცხუთა ერთა შოაქცევდა სარწმუნოებად[2]

ამბაირად, ჩვენ ვხედავთ, რომ, ჩვენი ძველი მწერლობის [illegible]
მობით, საქართველოში ქრისტიანობა უქადაგნიათ მოციქულებ[illegible]-ს
დრიას და სიმონ კანანელს (გიორგი, ეფრემი, ლუკა-ურბნ. [illegible]
არსენი), მატათას (არსენი) და ბართლომეს (ეფრემი)[3]. ასეთი შეხე-
დულება ჩვენში მეათე-მეთერთმეტე საუკუნიდან დამყარებულა. ხო-
ლო მანამდის მას ჩვენში ადგილი არ ჰქონია და არც ჩვენს წინა-
პრებს სცოდნიათ ის. მართლაც, წმ. ნინოს მისი თანამოღვაწენ
ეუბნებიან: „ესერა გვისწავიეს შენ შიერ, ვითარმედ ყოველ არიან
წინაჲსწარმეტყველნი პირველ მოსლვადმდე ძისა ღმრთისა ქუეყანად
და მერმე მოციქულნი ათორმეტნი და კუალად სამეოცდა ათორმეტ-
ნი და ჩუენდა არავინ მოავლინა ღმერთმან, გარნა შენ[4]. შაშასადა-
მე, არამც თუ წმინდა ნინოს დროს, მეცხრე-მეათე საუკუნეშიაც კი,
როდესაც დაწერილია ზემომოყვანილი სიტყვები, არ იცოდენ, რ
მოციქულებმა ჩვენში იქადაგეს ქრისტე. ეს არ იცის არც ბ ა ქ ე
მა, რომლისაგანაც პირველად გაიგეს ბიზანტიელებმა ქართველ
მოქცევის ამბავი. არ იცის ეს არც პეტრე მაჲუმელის ასურულ
ცხოვრების ავტორმა, არ იცის აგრეთვე არც „მოქცევაჲ ქარ-

[1] კ. კ ე კ ე ლ ი ძ ე, ქართული ლიტერატურის ისტორია I, 317-324.

[2] ცხოვრება წმ. ნინოსი, საეკლესიო მუზეუმის გამოცემა № 10, ჯვ. ა.

[3] ერთს ბოლოარულს ანოკრიფულ კითხვა-მიგებაში, სადაც ჩამოთვლილი
მოციქულთა სახელებიანი პუნქტები, ნათქვამია: „мѣсто святого апостола Ѳомы
пустынь Иворьскій" (Н. Тихонравова, Памятники отреченной рус-
ской литературы, II, 147).

[4] К. Тихонравов, Описание II, 794.

[illegible]ისადმი აეტორმა [1]. ერთი სიტყვით, ჩვენში მეათე-[illegible] საუკუნემდე არა სცოდნიათ რა მოციქულთა ქადაგებისა [illegible] ქართველოში. როგორ და საიდან შემოვიდა მერე ასეთი რწმენა ჩვენში? ის შემოვიდა მეათე საუკუნის კასელს თუ მეთერთმეტის დასაწყისს ლიტერატურული გზით ბიზანტიიდან. ექვთიმე ათონელმა გადმოთარგმნა. ან. ეკვეთ რომ ვიქვათ, შეადგინა ათონზე „მოსაკსენებელი მიმოსლვაითათვს და ქადაგებათა მოციქულისა ანდრეასი" [2]. საიდანაც კაიგეს ქართველებმა და შეითვისეს აზრი მოციქულთა ქადაგების შესახებ ჩვენში. ექვთიმეს შრომა წარმოადგენს სინთეზს ორი ოხზულებისას ანდრიას სამისიონერო მოღვაწეობის შესახებ. რომელნიც მეცხრე საუკუნეში შეეთხზავთ ბერძნულს ენაზე; ერთი ეკუთვნის ნიკიტა-დავით პაფლაგონელს. მეცხრე საუკუნის პანეგირისტს, მეორე კი. 830 წელს დაწერილი. მღვდელმონაზონს ეპიფანეს [3]. ექვთიმეს დასახელებულ მწერალთა შრომები თავისებურად გამოუყენებია: ზოგირამ გამოუტოვებია. ზოგი მიუმატებია [illegible] თან რამოდენიმე კომენტარიებიც დაურთავს. ერთი სიტყვით მოქ[illegible]ულა ისე, როგორც იქცეოდა ის სხვა ოხზულების თარგმნის დროს.

ამ ოხზულებით ანდრია ორჯერ ყოფილა ჩვენში: ერთხელ, როდესაც ის პირველად წამოვიდა იერუსალიმიდან. „მიიწია ქალაქად ტრაპეზუნთად, რომელი იგი შენ არს სოფელსა მეგრელთასა... განვიდა მიერ და შევიდა ქუეყანასა ქართლისასა, ვინაცა იგი დაჰყო ოდენ ფრიადი და მრავალნი განანათლნა სიტყვთა მოძღურებისა მისისადმი" [4]. ხოლო მესამედ გამომგზავრებისას— „შემდგომად მარტკლიისა ულად განვიდა საქმესა მას ქადაგებისასა და იყვნეს მისთანა მოგზაურნი სვმონ, რომელსა ეწოდა კანანელი, და მატათა... და თადეოზ მათთანავე და მიიწინეს ედესე ქალაქად, სადა იგი დაშენა თადეოზ... ხოლო დიდებული ანდრეა სხუათა მათთანა მოვიდოდეს ქალაქითი-ქალაქად და სოფლითი-სოფლად... და მოიწევნეს ქუეყანასა ქართლისასა და ვიდრე მდინარედმდე ჭოროხისა დაუცადებელად ჰქადაგებდეს სახელსა ღმრთისასა. მერმე შთავიდეს ნიგალია [illegible] სოფელსა. ხოლო მას ქუეყანასა მთავრობდა დლეთა მათ დედაკა-

[1] პროფ. ი. ჯავახიშვილი, ანდრია მოციქულის და წმ. ნინოს მოღვაწეობა საქართველოში, ჟურნალი მოამბე 1900 წ. VI, გვ. 35-38.

[2] საქართველოს სამოთხე, გვ. 34-47; ათონის კრებული, [illegible] 24.

[3] კ. კეკელიძე, ქართული ლიტერატურის ისტორია I, 134—5, 186.

[4] საქართველოს სამოთხე, გვ. 38.

[5] დედანში სწერია „სოსანგელლა".

ცი ვინმე მთავარი, რომელსა ჰრქმენ ქადაგებაჲ იგი მოციქულთაჲ. ხოლო მატათა სხუათა მათთანა მოწაფეთა დაშთა მაგ ყრილთა. ხოლო დიდი ანდრეა სვმონიოთერთ შევიდეს ქუეყანასა ოვსეთასა და მიიწიენეს ქალაქად, რომელსა ფოსტეფორ ეწოდების. სადა იგი დიდნი სასწაულნი აღასრულნეს და ერნი ფრიალეულნი მოაქცინეს და განანათლნეს. მიერ წარვიდეს და შევიდეს ქუეყანასა აფხაზეთისასა და სოფასტე ქალაქად მიიწიენეს და უქადაგეს სიტყუაჲ იგი ღმრთისმეცნიერებისაჲ და მრავალთა სიბარულით შეიწყნარეს ქადაგება იგი. და მუნ დაუტევა ნეტარმან ანდრეა სვმონ კანანელი სხუათათანა მოწაფეთა და თავად ჯიქეთისა ქუეყანად აღვიდა. ხოლო სვმონ კანანელისა საფლავი არს ნიკოფსე ქალაქსა, შორის აფხაზეთისა და ჯიქეთისა[1]. აი ეს თხზულება ექვთიმე ათონელისა დადებია სარჩულად ქართულ ცნობებს ანდრიას საქართველოში მოღვაწეობის შესახებ და იმ ლეგენდას, რომელნიც მის გარშემო შეუთხზავთ ქართველებს. ვგულისხმობ, არსებობს ასეთი ლეგენდა, ოლიქოს, რომელსაც ანდრია სამეგრელოში იყო და ქადაგებდა იმ ადგილას, სადაც ეხლა ჭყონდიდია, ერთმა მეგრელმა თითი მოსჭამა მასო, ამიტომ მეგრელებს თითისჭამიას ეძახიან[2]. ამ ლეგენდას სარჩულად უდევს ეპიფანეს თხზულებიდან ის ადგილი, სადაც ნათქვამია, რომ, როდესაც ანდრია სინოპში (ანუ, სხვა თქმულებით, ამასტრიდაში) ქადაგებდა, „ერთმან ვინმე მხეცისა მსგავსმან გონებითა უპყრა კბილითა თითი მოციქულისაჲ და დაკოხნა იგი ვიდრეღა სრულიად მოჰკუეთნა. რომლისათჳსცა ეწოდა მიერითგან სინოპელთა თითის მჭამელ, ვიდრე მოაქამდე"[3].

ეხლა უნდა დაისვას ასეთი საკითხი: იყო თუ არა მართლა ანდრია ან სხვა რომელიმე მოციქული ან მოწაფე იესოსი ჩვენში? ეს საკითხი მეცნიერულად განუხილავს პროფ. ივ. ჯავახიშვილს. რომელიც მისულა უარყოფითს დასკვნამდე[4]. ჩვენ ალარ გავიმეორებთ პროფ. ი. ჯავახიშვილის არგუმენტებს, ვიტყვით მხოლოდ, რომ ბერძენ-ლათინთა მწერლების ცნობებს ანდრიას კავკასიაში მოგზაურობისა და ქადაგების შესახებ სარჩულად უდევს ცნობილის ოლიგენის თქმულება. რომელსაც იმეორებენ ევქერი და ისიდორე ესპანელი. ამ თქმულებით ანდრიას წილადა ხვდა სკვითია

[1] საქართველოს სამოთხე. გვ. 36.
[2] Ж. Сабинин, История грузин. церкви до конца VI в. стр. 14. пр. 1
[3] საქართველოს სამოთხე. გვ. 84.
[4] ანდრია მოც. და წმ. ნინოს მოღვაწეობა საქ-ში, მოამბე. [illegible] —11.

(Σκυθία)[1]. ჩვენ ვიცით, რომ ძველად სკვითია ძალიან [illegible] ტერმინი იყო. სკვითიას უწოდებდენ სხვადასხვა ადგილს [illegible] შორის შავიზღვის აღმოსავლეთ-ნაპირებზედაც, ეხლანდელს დასავლეთ-საქართველოში. მაგალითად, პლუტარხოსი (+ 120 წ.) და სტეფანე ბიზანტიელი (+ 500 წ.) თუ ეს ასეა, გასაკვირველი არ უნდა იყოს, რომ ორიგენის შემდეგდროინდელი მწერლები (ეპიფანე კვიპელი, დიოფანეს ტვიელი, იუბენი, სოფრონი, ნიკიტა პაფლაგონელი, ეპიფანე, ნიკიფორე კალისტი, სიმეონ მეტაფრასტი და სხვ.) ანდრიას წილხვდომილად ხადიან არა ოდ ნაძდვილს სკვითიას, ოლოფრიც იყო შავიზღვის ჩრდილოეთ-სანაპიროები, არამედ პონტის აღმოსავლეთ-სანაპიროთა მკვიდრი, როგორც, მაგალითად, ლაზებს, სვანებს, აფხაზებს და იბერებს. შეიძლება, ამ შეხედულებაში ეროგვარი ოლი ეთამაშნოს პ ი ე ტ ი ნ ი ძ ს თქმულებასაც, რომლისაც მოციქულმა მ ა ტ თ ე მ ქადაგა „ეთიოპიაშიო". ძველად ეთიოპიას ეძახდენ კოლხიდასაც, ესე იგი დასავლეთ-საქართველოს. არსებობდა ისეთი ვერსია ანდრიას შესახებ თქმულებისა, რომელიც მის თანამგზავრად, როგორც დავიბახეთ, სთვლიდა მოციქულ მ ა ტ ა თ ა ს: მატეოსი, ჩანს, მატეოსთან აურევიათ. მატეს კი ეთიოპია-კოლხიდაში უქადაგნია. სადაც ორი მდინარეა: აფსარი და ფაზისი; აქედან, ბაშასადაგე, ბერძნის მწერლის ს ო ფ რ ო ნ ი ს ა თ ვ ი ს ადვილი იყო თქმა, რომ ანდრიამ იქადაგა დიდს სებასტოპოლში, რომლის მახლობლად ხლვას ერთვის მდინარეა აფსარი და ფაზისი და სადაც ეთიოპელები მკვიდრობენ.

აშნაირად, ანდრია მოციქული არასოდეს კავკასიაში არ ყოფილა, თქმულება ამის შესახებ წარმოადგენს ეროგვარ გეოგრაფიულ გლოსას სკვითიისა და ეთიოპიის შესახებ.

რაც შეეხება სხვა მოციქულების ქადაგებას ჩვენში, ესეც ეჭვმარეულს არ შეეფერება. სახელდობრ, თქმულება მ ა ტ ა თ ა ს შესახებ, როგორც ზევითაც დავიბახეთ, ეუნდა წარმოადგენდეს ორი სახელის აღრევას: მატეოსი და მატათასი: ვინაიდან არსებობდა ისეთი გარდამოცემა, რომელიც მატეს წილხვდომილად ეთიოპიას სთვლიდა, ეთიოპიად კი ხშირად კოლხიდასაც ჰგულისხმობდენ. მატათა, რომელიც მატეოსთან აურევიათ და ანდრიას თანამგზავრად გაუხდიათ, დასავლეთ-საქართველოში მოღვაწეობას აწერენ.

[1] Migne, Patrologiae Cursus comp. ser. Graeca, t. XII, p. 82,91.
[2] Libellus de fluviis, I.
[3] Ethnicorum quae supersunt, rec. A. Meineke, t. I.

ოც სვიმონ კანანელის შესახებები თქმულება შეესაბამება ჭეშმარიტებას: ამ თქმულების დასადასტურებელად ვერ გამოდგება ის გარდამოცემა. რომელიც სვიმონის საფლავს ნიკოფსიაში უჩვენებს. პროფ. ვ. ბოლოტოვმა აღნიშნა, რომ სინოპში ანდრია მოციქულის ეკლესიის არსებობა ვერ დაამტკიცებს იქ ამ მოციქულის ქადაგების შეშნაარიტებას, პირიქით იქნება იმიტომ ააშენეს იქ ასეთი ეკლესია, რომ გარდამოცემა არსებობდა. ვითომც ანდრიამ სინოპში იქადაგა[1]. ესევე უნდა ვთქვათ ჩვენ ამ შემთხვევაშიაც: იქნება იმიტომ გაჩნდა თქმულება სიმონ კანანელის აფხაზეთში დამარხვის შესახებ, რომ მას წინ ესწრებდა ლეგენდა სვიმონის იქ მოღვაწეობის შესახებ. თქმულება, რომ სვიმონი ნიკოფსიაშია დამარხული, მომდინარეობს ეპიფანე კვიპელისაგან, რომელიც ამბობს, რომ სვიმონ ბოშეოხეს საფლავი მას ბოსფორში უჩვენეს. ხოლო „სვიმონ კანანელის საფლავი არს ნიკოფსე ქალაქსა, შორის აფხაზეთისა და ჯიქეთისა"[2]. სვიმონ ბოშეურნე და სვიმონ კანანელი ერთიდაიგივე პირია[3]. მაგრამ როგორ შეიძლებოდა, რომ ერთიდაიგივე პირი ბოსფორშიც ყოფილიყო დამარხული და ნიკოფსიაშიც? როგორ წარმოდგა თქმულება იმის შესახებ, რომ სვიმონ კანანელმა აფხაზეთში იქადაგა? დორთეოს ტვირელის კატალოგში ანდრია მოციქულს მიჩენილი აქვს ის ადგილები, სადაც მისი ძმა პეტრე ჰქადაგებდა. ხოლო პეტრეს ანდრიასი. მაშასადამე, შავიზღვის აღმოსავლეთ-სანაპიროები: პეტრეს კი ერქვა სვიმონი, ასე რომ აქ აღრეულია ორი პიროვნების სახელი, პეტრესი და სვიმონისი[4].

ეფრემ მცირე ამბობს, რომ ქართლში იქადაგა ბართლომე მოციქულმა: „და კუალად ბართოლომეს მიერ მიმოველად ჩრდილოეთისად, რომელ არს ქართლი". საიდან ამოიღო ეფრემმა ასეთი ცნობა? ეფრემი მოღვაწეობდა შაჰმოიზე სირიაში, სირიელები კი მთელს ეხლანდელ აღმოსავლეთ-კავკასიას, მაშასადამე საქართველოსაც, „ჩრდილოეთს" ეძახდნენ. მაგალითად, პტოლომეოსის გეოგრაფიის სირიულ ვერსიაში, რომელიც 552-555 წლებშია შედგენილი, ნათქვამია: „ჩრდილოეთ-კავკასიაში ხუთი ქრისტიანი ერი ცხოვრობს: სომხები, ქართველები, სიუნიელები, ალანები და ბაზგუნებიო"[5]. პეტრე მ ა ჯ უ მ ე-

[1] Лекции по истории древней церкви II. 247—248.
[2] საქართველოს სამოთხე, გვ. 38.
[3] Lipsius, Apostelgeschichten und Apostellegenden I. 592.
[4] Ibid. S. 611.
[5] Н. Адонц, Армения в эпоху Юстиниана, стр. 219-221.

ლის ასურელის ცხოვრებაში იბერია წოდებულია „ჩრდილოეთის ქვეყნად (Land der Iberer, jener Nordländer)[1]. ქართული წრდებულია „ჩრდილოეთის" ქვეყნად წმ. ნინოს შატბერდულსა[2]. და იოანე ზედაზნელის[3] ცხოვრებაში. ჩვენ ვიცით საეკლესიო ისტორიიდან, კერძოდ სომეხ ისტორიკოსთაგან, რომ ბართლომემ ქრისტიანობა, გარდამოცემით, იქადაგა სომხეთში, ალბანიაში და სიუნეთში. ესე იგი „ჩრდილოეთის ქვეყანაში". სირიული ნომენკლატურით, თუ სირიაში არსებობდა გარდამოცემა, რომ ბართლომემ „ჩრდილოეთში" იქადაგა. ჩრდილოეთად კი საქართველოც იგულისხმებოდა, ეფრემ მცირეს. სირიაში ალბრდილს. შეეძლო თვითონაც ეთქვა, თუ ამას სირიაში არ ამბობდენ, რომ ბართლომემ იქადაგა „ჩრდილოეთს, რომელ არს ქართლი". მაგრამ ასეთი გარდამოცემა ქართლში ეფრემამდეც ყოფილა: ეს იქიდანა ჩანს, რომ მეათე საუკუნის თხუენში ჩვენ გვხვდება ლოცვა-ვედრება ბართლომესი, როგორც ქართველთა განმანათლებელისა; ნინოსთან ერთად აქ ბართლომეც სახელდებულია ქართველთა განმანათლებელად[4].

ამნაირად, ჩვენ ვხედავთ, რომ არც ერთი მოციქული საქართველოში არ ყოფილა და არ უქადაგნია: ამიტომ ეფრემ მცირის დროსაც ბერის აზრი, რომ, თუმცა მოციქულებმა იქადაგეს ჩვენში ქრისტიანობა, მაგრამ ქართველებმა ის დაივიწყეს და ამიტომ საჭირო შეიქნა ხელმეორედ მოგვლინებოდა ჩვენ, მქადაგებელი ჭეშმარიტებისა, წმ. ნინო, სინამდვილეს არ შეესაბამება: საქართველოში მოციქულებს ქრისტიანობა არ უქადაგნიათ.

III

თუმცა, როგორც ვხედავთ, მოციქულები საქართველოში არ ყოფილან და აქ მათ არ უმოღვაწნიათ, მაგრამ ქართველთა შორის ქრისტიანობა მაინც ადრე შემოვიდა შედარებით. ამით ჩვენ იმისი თქმა არ გვინდა, რომ მთელი საქართველო ერთსადაიმავე დროს და ერთისადაიმავე მისიონერის ქადაგებით გაქრისტიანდა, როგორც, არც ისე დიდი ხანია მას შემდეგ, ფიქრობდენ და ამტკიცებდენ ჩვენში, მეათე საუკუნის გასლვამდე საქართველო, ამ სიტყვის

[1] R. Raabe, Petrus der Iberer, S. 14

[2] Е. Такайшвили, Описание II, 743-744, XIII.

[3] კ. კეკელიძე, ქართული ლიტერატურის ისტორია I, 154

[4] Н. Марр, Исторический очерк грузин. церкви с древнейших времен. *Журнал. обозрение* 1907 г. № 3, стр. 111-112.

თანამედროვე გაგებით. ეს ეროვნებობდა; იყენენ სხვადასხვა ეროვნული ტომები, რომელნიც სხვადასხვა გეოგრაფიულს, ისტორიულ, პოლიტიკურს და კულტურულ პირობებში ცხოვრობდენ. ამიტომ ქრისტიანობაც მათ შორის სხვადასხვა დროს და სხვადასხვა პირობებში შემოდიოდა.

დღევანდელს დასავლეთ-საქართველოში ქრისტიანობა შემოდიოდა უპირველესად ხაზარეთიდან. შავიზღვის აღმოსავლეთ-სანაპირო, რომელსაც ძველად ეროს კოლხიდას ეძახდენ, ბიზანტიელებმა ლაზიკად მონათლეს. ლაზიკა იყო საკმაოდ ძლიერი საქვეყნო და შეიკავდა. ლაზების გარდა, სხვა წვრილ ტომებსაც, რომელნიც კავკასიის მთის კალთებზე ცხოვრობდენ, პოლიტიკურად ლაზიკა ვერ სპარსელებმა დაიკავეს და მერე, მეექვსე საუკუნის ოცდან წლებიდან, ბიზანტიელებმა. ქრისტიანობა აქ ადრეთანვე ეკლესიებიდან: ჩვენ გამოკვლეული გვაქვს დანიელ მესვეტის ცხოვრებიდან ერთი ადგილი, რომელიც შეეხება ლაზთა მეფეს გუბაზიანს. გუბაზიანი იმპერატორის ლეონ დიდის დროს (457-474) კონსტანტინოპოლში გაუწვეეიეთ, სადაც ის 465 წლის შემდეგ მისულა. აქ მას იმპერატორის ოსტატა, სპარსელებთან ომის დაჭერისთვის, თავიდან აუცილებელი ქრისტიანობისადმი სიმპათიების გამოხენით, ეროვნებობა დაუკარგია დანიელთან და მერე, საშშოალოში დაბრუნების შემდეგ, ბოლო-მოწყალა გაუმარჯოვეს მასთან. ასაც, რასაკვირველია, ლაზიკაში ქრისტიანობის გავრცელება მოუვიდოდა[1]. აქედან გასაკვირველი არაა, რომ ლაზებსა (Λαζοι) და მათ ქრისტიანობას იხსენიებს ეს ამბის თანამედროვე გელასი კესარიელი 475 წლის ახლო ხანში დაწერილს ანბანლებაში[2]: არ ისაა საკვირველი, რომ მეექვსე საუკუნეში იუსტინიანე დიდს ფერუსალიმის უდაბნოში განუახლებია ლაზთა მონასტერი[3], რომელიც მის დროს, შაშასადამე, სიძველეში ძოსულა. საბოლოოდ კი ქრისტიანობა ლაზიკაში დამყარებულა მეექვსე საუკუნის დასაწყისში. ერთ-ერთი მეფე ლაზიკისა, წათე, გაემგზავრა ბიზანტიაში და იქ კეისარ იუსტინეს აუწყა, რომ მას სურს გაქრისტიანდეს და ლაზთა მეფედ იქმნეს დაჩტაკვეული. იუსტინემ, რომელიც ამ ამბავმა ძალზე გაახარა, დიდი

[1] К. Кекелидзе. Историко-агиографические отрывки. Христианский Восток, т. II, выпуск 2, стр. 157-191.

[2] Historiae concilii Nicaeni lib. III (A. M. Cerriani, Monumenta sacra et profana, t. I, p. 137, Mediolani 1861).

[3] Procopius. De Aedificis V. 9

სიამოვნებით მონათლა წათე და მისი შვილი 523 [illegible] მეფის მონათლვას ის მნიშვნელობა ექნებოდა, თუმ ამიერიდან ქრისტიანობა ლაზიკაში სახელმწიფო სარწმუნოებად იქმნებოდა გავრცხადებული და მის გავრცელებას დაბრკოლება ალარ გადაეღობებოდა. მართლაც, პროკოპი კესარიელი ლაზებს იხსენიებს როგორც საუკეთესო ქრისტიანებს[2]. გაშასადამე მეექვსე საუკუნეში მათს ქრისტიანობას ჩამოყალიბებული სახე ჰქონია უკვე.

ლაზების მონაცვლეთ ბანები გაუქრისტიანებია იუსტინიანე კეისრის სარდალს სიტიანს მისი ტახტზე ასვლის პირველსავე წელს (518)[3].

ლაზების პროტექტორატის ქვეშ იმყოფებოდნენ სვანები, რომელთაც ძველად ეფრო ერცელა ტერიტორია სვანეთი. ვიდრე ეხლა: ის შეიცავდა ეხლანდელი სვანეთის გარდა, ლეჩხუმს და ჩრდილოეთ-ოაჭასაც: ქრისტიანობა აქაც საბერძნეთიდანაა გავრცელებული, შეიძლება ლაზებთან ერთად. აქ ეხლაც დაჩენილია ბერძნების საეკლესიო გალენის კვალი: მაგალითად, სვანეთში ცლვდელს ეძახიან ბაპტიზეს, შაბათს: სოფტინ (σάββατον), ოიბის ჭურეელს სტამან (στάμνος), ჯვარს სტავრუნ (σταυρός) და სხვა[4].

რაც შეეხება აფხაზეთს, ოფიციალურად ქრისტიანობა აქ დამყარდა იუსტინიანე დიდის დროს, რომელმაც, პროკოპი კესარიელის გადმოცემით[5], აფხაზების მოსაქცევად გამოგზავნა მათ თანამემამულე საბერძნელი ეფეტანტი. ამას ადგილი ჰქონია იმ დროს, რომელიც უშუალოდ ეწინააღმდეგება წინ 547-548 წლებს[6].

ამნაირად, დასავლეთ-საქართველოს ტერიტორიაზე ბოლამდე ქართველ ტომებში ქრისტიანობა შემოსულა მეხუთე საუკუნიდან, მოყოლებული და საბოლოოდ დამყარებულა მეექვსეში: შემოდიოდა ის, როგორც ვთქვით, უმთავრესად საბერძნეთიდან.

[1] Theophanis Chronographia I, 165 – 169 (de Boor), თეოფანეს ცნობაში 515 წლის წლის ქვეშ აღწერილია.

[2] De bello Persico I 12, II, 28.

[3] De bello Persico I, 15. Pargoire, L'église Byzantine 17.

[4] Н. Марр, Крещение грузин, армян, аланов и абхазов см. Грагорием, стр. 170-171 ა. შანიძე: ტფ. ენ. ძეგლნი V, 251.

[5] De bello Gotthico IV, 3, ed. Bon. p. 472-473.

[6] Проф. Ю. Кулаковский, Где была построена импер. Юстинианом храм для Абхазов: Археологич. известия и заметки, т. V, стр. 14.

IV

უფრო ადრე შემოსულა ქრისტიანობა აღმოსავლეთ-საქართველოში ან. ძველი პოლიტიკური და ეკლესიური ტერმინი რომ ვიხმაროთ, ქართლში, როდესაც ჩვენ ვსწავლობთ ქართლში ქრისტიანობის შემოსვლისა და დამყარების ისტორიას, ერთს საყურადღებო მოვლენას ვამჩნევთ: ქართლის განმანათლებლად ერთსადაიმავე დროს გამოყვანილი არიან გრიგოლ ქართველი, სომეხთა განმანათლებელი, და წმ. ნინო. მართლაც, გრიგოლ განმანათლებელის ცხოვრების არაბულს ვერსიაში წერია, რომ გრიგოლმა, თრდატ მეფესთან ერთად, მონაოლა, სხვათა შორის, ქართველთა მეფე და ამის შემდეგ ეპისკოპოსიც კი გაუგზავნა ქართველებს, სახელდობრ ეინმე იბირბეხეა[1]. გრიგოლის საგანგებო მოღვაწეობას ქართველთა შორის განსაკუთრებით გასმული აქვს ხაზი იმ მიწერ-მოწერაში, რომელიც გაიმართა ქართველ და სომეხ სამღვდელოებათა შორის მეექვსე საუკუნის გასულს და მეშვიდეს დასაწყისს ეკლესიური ერთიერთობის გამწვავების გამო. სომხები პირდაპირ ამბობენ: „ნუ იქნება შეშლილებული რაიმე ახალი ჩვენი ქვეყნების აღსარებაში, რომელიც დანერგულია ღვთის მოღვაწის გრიგოლის მიერ“: „ვინაიდან ჩვენ ვართ მოწაფენი და სამკვიდრებელი ერთისადაიმავე მოძღვრისა. უნდა იმ რჯულზე ვიმყოფებოდეთ, რომელზედაც ცხოვრობდენ ჩვენი მამები“. სომხები ოდნავადაც არ ეეჭვობენ, რომ გრიგოლმა ჩვენში იქადაგა ქრისტე[2]. ამას არც ქართველები უარჰყოფენ: ქართლის კათოლიკოსს კირონს, რომლის დროსაც ჰქონდა ადგილი ზემოხსენებულ მიწერ-მოწერას, ყველაზე მეტად უნდა უარეყო ეს დებულება, თუ ის სიმართლეს მოკლებული იყო. მაგრამ ის საპასუხო წერილებში არამც თუ არ უარჰყოფს ამას, პირიქით კატეგორიულად ამოწმებს, რომ ეს ასეა, - ქართველები გრიგოლმა გაგვანათლა. ის სწერს სომხის კათოლიკოსის შოადგილეს: „გრიგოლმა გვასწავლა ჩვენ წართლმადიდებლობითი აღსარება, რომელიც მან შეითვისა იერუსალიმში. ის დაგვიმტკიცა იმან ჩვენ. ის არის ჩვენი და თქვენი ეშმარიტი შჯულიო“[3]. კირონი ოდნავადაც არ ეეჭვობს, რომ ეს

[1] Н. Марр, Кресение армян, грузин, алапов и абхазов св. Григорием, стр. 135-137

[2] И. Джаваховъ, История церковного разрыва между Грузиею и Арменией в начале VII века, стр. 517-527 (*Известия Академии Наук* за 1918 г.)

[3] Ibid., стр. 521-524.

ვართალია. ეს უარყოფს ამას ალბ შეკბრე საუკუნის კათოლიკოზი ა ნ ს ე ნ დ ი დ ი (1855-8821). რომელსაც საპოლემიკო ტრაქტატიც კ: დაუწერია სომეხთა წინააღმდეგ[1]. იმისი სიტყვით, „იქმნა ბაჲ დიდი შორის სომხითსა და ქართლსა: ქართველნი ეტყოდეს. ვითარცედ წმიდამან გრიგოლი საბერძნეოით შოგუცა ჩუენ სარწმუნოებაჲ, რომელი თქუენ დაუტევეთ"[2]. ეს კიდევ ცოტაა: უძველესს საღვთისმსახურო წიგნებში, შეათე საუკუნეზდე, ჩვენ გვხვდება მრავალი საგალობელი გრიგოლის სახელობისა: ეს საგალობელნი მა: ქართველთა განშანაოლებელადა სთელიან. მაგალითად: „ვარსკულაო სომხეთისაო გრიგოლი, მოგვკსენენ სამწყსონი შენნი წინაშე მაცხოვრისა და შოგუმადლე ჩვენ წყალობაჲ და მშვდობაჲ მოჰფინე სოფელსა"[3]. ერთი სიტყვით, გრიგოლის ვიერ ქართველთა შოქცევ ურყეველი რწმენა-ყოფილა ორა მარტო სომხებისა, არამედ თვით ქართველებისაც შეათე საუკუნეზდე. ამავე დროს ბიზანტიელ ისტორიკოსთა მოწმობით, აგრეთვე ბოსე ხორენელის თქმულებით და ქართული საისტორიო-საჰაგიოგრაფიო ნასალების გადმოცემით ალმოსავლეთ-საქართველო მოაჯია ტყვე ქალმა, რომელსაც უკანასკნელნი ნინოს ან ნუნეს უწოდებენ: ამასაც ისევე ეჭვიუტანლად ამტკიცებდენ ძველად სომხებიცა და ქართველებიც, როგორც გრიგოლის სამისიონერო მოღვაწეობას ჩვენში. როგორ უნდა შევათანხმოთ ეს ცნობები: ნინო თუ გრიგოლი? თუ გვსურს ვაკერკვიოთ ამ საკითხში, უნდა გავითვალისწინოთ ეთნოგრაფიული და პოლიტიკური ტერმინი ქ ა რ თ ლ ი და სწორი წარმოდგენა ვიქონიოთ მის შესახებ.

V

ჩვენს ძველსა და ახალს მწერლობაში კლასიკურ მწერალთ: ი ბ ე რ ი ა და ჩვენებური ქ ა რ თ ლ ი ნახმარია განურჩევლად, როგორც სახელწოდება ერთისადაიმავე ტერიტორიისა. პოლიტიკურად ეს, შეიძლება, სწორეც იყოს. ყოველ შემთხვევაში გარკვეული დროიდან. მაგრამ ეთნოგრაფიულად ქ ა რ თ ლ ი სხვაა და ი ბ ე რ ი ა სხვა.

ეთნოგრაფიული ქართლი ის ტერიტორიაა, რომლის სახლვარს შეადგენდა: ალმოსავლეთით ბერდუჯის ველინარე, სამხრეთით სომხეთის მთები და მათგასწვრივი ნაწი მტკვრის სათავეზდე, დასავლე-

[1] ა. ყ ა ვ ხ ჩ ი შ ვ ი ლ ი. ქართული ლიტერატურის ისტორია I, 134-141.
[2] თ. ბ ო ლ ქ ვ ა ნ ი ა. ბრიტანეული I, 319.
[3] Н. Марр. Кирилловские армяне, г. Гуний... стр. 154

[illegible] მდინარე მტკვარი, რომელიც მას ხორძენესაგან ჰყოფდა, [illegible] [illegible]ამდე, ჩრდილოეთით „იგივე მტკვარი ტასისკარიდან [illegible] [illegible]ამდე [1]. ესე იგი, გარკვეულს ეპოქაში ეს ტერიტორია შეიკავდა აღმოსავლეთ-ნაწილს შემდეგი ოლქის ზემოქართლისას, საძირეთ-დასავლეთ ნაწილს შიდაქართლისას და მთელს ქვემოქართლს: ამ ტერიტორიას ბერძნები ეძახდენ გოგარენეს (Γωγαρηνή), ხალხს Γωγαρηνοί, სოფლები კი გუგარქს. დაახლოებით IV-III საუკ. ქრისტემდე ეს ტერიტორია დაუკავებიათ ქართველებს, რომელთაც აქ დაუფლებიათ ქართველ ტომთაგან, სვანებთან ნარევი მესხები, ნაწილობრივ დასავლეთისაკენ, ნაწილობრივ ჩრდილოეთისაკენ მიწველნი ამის შემდეგ. მათ შეუქმნიათ აქ იმდენად მტკიცე ორგანიზმი, რომ, მატიანეს ბუნდოვანი გადმოცემით, საკუთარი შეფეც კი ჰყოლიათ, რომლის რეზიდენციად ითვლებოდა ქარდალი, შემდეგ ალბალად წოდებული. ეს ორგანიზმი თავდაპირველად განიცდიდა, [illegible] კიდევ დასავლეთად მობინადრე, [illegible] პოლიტიკურ ჰეგემონიას, შაგრამ მეორე საუკუნის გასულს ქრისტემდე ის სომხებს წაართმევიათ მათთვის. პირველი საუკუნის გეოგრაფი სტრაბონი აღნიშნავს: „არმენია, თავდაპირველად პატარა ქვეყანა, მძლავრობით გავრცელებულა. არმენებს წაუგლეჯიათ: მიდიელთაგან კასპიანე, იბერთაგან ის ადგილები, რომელნიც პარიადრის ძირად მდებარეობდენ, და აგრეთვე ხორძენე და გოგარენე, რომელიც მტკვრის იქით [illegible] [2]. მეორე საუკუნის გასულსაც (ქრისტეს შემდეგ) ეს მხარე სომხებსა ჰქონიათ დაკავებული: პტოლომეოსი სომხეთის ჩრდილოეთ-საზღვრად მტკვარსა სდებს [3]. ასევე იყო მესამე საუკუნეში და [illegible] პირველს ნახევარში.

სომხეთის სამეფოში გოგარენი-გუგარქი შეადგენდა ცალკე საპატიარქოს. მას განაგებდა პიტიაშხი, რომელსაც ეკავა უპირველესი ადგილი სხვა პიტიაშხთა შორის: სამეფო ნადიმის დროს მას, მეფის [illegible]ემდეგ, პირველი ადგილი ეკავა, ეფროსობდა ჩრდილოეთის არმიას

[1] ამ ცნობლებში მოდიოდა, მატიანეს ბუნდოვანი გადმოცემით, ქართველთა [illegible] ქართლოსის ზეგერი მიწაწყალი; სხვანაირად არც შეიძლება [illegible] ეგონოთ ძარიანეს შესაფერისი თქმულება. ვინაიდან მტკვრის ჩრდილო-ნაწილი, [illegible]ნიდან ტასისკარამდე, და საშუალო-დასავლეთის ნაწილი, ტასისკარიდან [illegible] [illegible]ის ზღვამდე, ქართლოსის სიკვდილის შემდეგ დაუპყრიათ მის შვილებს (კავოსს [illegible] [illegible]ეს) და შვილიშვილებს—ეფლოსს და ოძრეხს (ქართლის ცხოვ[illegible]ებ: მარიამ დედოფლისა, გვ. 2, 6, 7).

[2] Geographica, lib. XI, cap. 14, § 5.

[3] C. Ptolomaei, Geographiae libri octo, V, c. 11.

ელ ბრძანებლობდა 22 თავადს[1]. მეოთხე საუკუნის ნახევარში ეს ბრძანება უკანვე დაუბრუნებიათ იბერებს: სომხეთის უსახელო გეოგრაფიაში ნათქვამია, რომ, „გუგარქი სომხებს იბერებმა წაართვესო“ ანუ „ეხლა“ ... ისტორიკოსის ფაუსტ ბიზანტიელის ცნობით, სომხეთია შეფის არშაკის (346—349 პროფ. ნ. ადონცის ქრონოლოგიით)[2], დაბრუნებისას, ესე იგი 349 წელს[3]. ეს რომ უფრო გვიან არ მომხდარა, იქიდანაც ჩანს, რომ ეოსე ხორენელი მიბრძანებს შეფეს უწოდებს „იბერიის გამგეს“ და გუგარქის ბდეშხს (II, 86, III, 6.9), ხოლო ანი კი, მოსე ხორენელისავე ცნობით, შოუკლავი ჩრდილოელ ალბთა თავდასხმისას 350 წლის ახლო ხანებში (III, 9).

აშნაირად, მეოთხე საუკუნის ნახევრამდე ეთნოგრაფიული ქართლი ან გუგარქი სომეხთა კულტურულ-პოლიტიკური გავლენის ქვეშ იმყოფებოდა. 349 წლიდან კი ის საბოლოოდ ჩამოშორებია სომხეთს და იბერიას შეერთებია.

VI

რაც შეეხება კლასიკურ მწერალთა იბერიას, ის სულ სხვაა. ადრე ქართლი, 65 წლიდან მოყოლებული ქრისტეს დაბადებამდე იბერიად იგულისხმება გარკვეული ტერიტორია, რომელსაც საზღვრავს: აღმოსავლეთით მდინარე ალაზანი და მისი ქეთი ალბანია, დასავლეთით ლიხის შუა, ჩრდილოეთით კავკასიის ქედი, სამხრეთით ტაკვარი. სტრაბონს მხედველობაში უნდა ჰქონდეს სწორედ ამ ტერიტორიაზე დამკვიდრება იბერებისა, როდესაც ამბობს: „დასავლეთის იბერები გადავიდენ პონტოსა და კოლხიდის ზემოთ მდებარე ადგილებში, რომელიც... განიყოფება არმენიისაგან... მტკვრით და მესხეთის მთებითო“[4]. გადმონაცვლება იბერებისა დასავლეთიდან, შესაძლებელია, მართლაც მეორე საუკუნის გასულს მომხდარიყოს[5], როდესაც მათ

[1] S. Martin, Histoire sur l'Arm. I, 79; Langlois, Collection I, 10 not. Stéphanos Orbel., Histoire de la Siounie II, 6, not. 3; დ. ბაქრაძე, საქართველოს ისტორია, გვ. 127.

[2] Проф. Н. Адонц Армения в эпоху Юстиниана, стр 225.

[3] Ibid. стр. 128.

[4] შად. ს. კაკაბაძე, ქართული სახელმწიფოებრივების გენეზისის საკითხები, ისტორიის ჟურნალი I, 49.

[5] Geographica I, 3, § 21.

[6] ს. კაკაბაძე, ქართული სახელმწიფოებრივების გენეზისის საკითხები, ისტორიის ჟურნალი, I, 26.

ძიაწევენ სომხები. რომელთაც. ორტაქსიას ბეთაურობით, [illegible]
იბერებს წაართვეს, სტრაბონის პოწმობით, პარიადრი. [illegible]
ვოგარენე. ახალ ადგილას იბერებს დახვედრიათ. ბატიანეს ბუნდო-
ვანი გადმოცემით, თურქმენთა ტომები (ბუნთურქნი), ებრაელები და
სხვ., რომელნიც ნაწილობრივ დაუპყრიათ, ნაწილობრივ განუდევ-
ნიათ აქედან და, მათ ნაბინადრევზე, შეუქმნიათ საკუთარ ძლიერ-
სამეფო. რომელსაც კლასიკური მწერლები იბერიას უწოდებენ,
სომხები კი ვირქს, რაც იგივე იბერიაა, ვინაიდან სომხურადაც
და ბერძნულადაც შოკავშულია ერთიდაიგივე ძირი: berver birvir:
ქართლური სახელი ამ სამეფოისა უნდა იყოს ჰერეთი[1]. იგი შე-

[1] საჭმე ისაა, რომ ქართულმა ძველმა მწერლობამ სახელი იბერია ა-
იცის, იმას ჩვენ ძველად, ყოველ შემთხვევაში საქართველოს საბოლოოდ გაერთი-
ნებამდე, ვერსად ვერ ვხვდებით; საშეგიროდ ჩვენში ცნობილებაში ტერმინი ჰერ-
თი, რაც კლასიკურმა მწერლებმა და სომხებმა არ იციან. ეს ჰერეთი შეიცავ-
�дე ტერიტორიას, რასაც კლასიკურ მწერლებთან იბერია. ეს მხედველობაში ვ-
ქონიებთ იმ გარემოებას, რომ ჰერეთის საზღვრებში შედიოდა ეხეთი და კა-
ხეთი, ასევ რომ ჰერეთი ზოგჯერ თითქმის ალბანეთ-კავკასიის ეწოდებოდა. ეს
შეთერთმეტე საუკუნეში ჰერეთის საზღვრებს შეადგენდა: აღმოსავლეთით ალბანი,
ჩრდილოეთით კავკასიის ქედი, სამხრეთით მტკვარი და დასავლეთით კახეთი. მეთერთ-
მეტე საუკუნეზე წინ დასავლეთის საზღვარი ქასპს აცილდებოდა და, ყოველ შემთხ-
ვევაში, ლიბის მთამდე აწვდებოდა (პროფ. ი. ჯავახიშვილი, ქართველ ერის ისტო-
რია II, 297--300). მაშასადამე, გეოგრაფიულად იბერია და ჰერეთი ერთმანეთს ემ-
თხვევენ, ისინი ფონეტიკურადაც ემთხვევიან ერთმანეთს. ბერძნულს 'Ιβηρία-ში ძირ-
ია berv-ი, საიდანაც აკადემ. ნ. მარრის გამოსვლამდე, სხვადასხვა ფონეტიკური
კომბინაციებით, დასავლეთ-საქართველოს ყველა, ქართველ ტომთა შორ დასახლ-
ებული, ადგილებია სახელწოდება, როგორც მაგ., ივერეთი, სამეგრელო, გურია,
სპერი, resp. ისპირი და სხვ. (Κρεщ., арм. груз. алан. и пох. см. Γρηγορίου, стр.
166-170). ეჭვეულია, აქედანვე უნდა იყოს წარმოშდგარი ჰერეთიც; ამ სახელში
ეთი არის ადგილის აღმნიშვნელი სუფიქსი, ბერძნებს, მათ რომ ეს სახელი
ესოდნოდათ, უნდა გამოეთქვათ ის როგორც ჰერია, რაც იგივე ბერძნული 'Ιβηρία-ს
ან ჰერია (ნ. მარრის ტრანსლიტერაციით ბერძნული 'Ιβηρία-ს პროტოტიპი არის
ІБЕРІА; ibid. стр. 168). ჰერია-დან რომ ჰერია წარმოშდგარიყო, ე-ნის
წინ ვ-ნი უნდა დაკარგულიყო; ასეთი დაკარგვა რომ შესაძლებელია, ეს იქიდანაც
ჩანს რომ hiatus-ის დასაფარავად ე-ს წინ ხშირად ჩაერთვის ვ-ნი, მაგალითად
ხორველა, დაგვენაბეა და სხვ. (ვ. თოფურია, ქართლური, კრებული I, გვ. 136).
მაგრამ ეამისადაც ჩვენ გვაქვს ასეთი მოვლენის მაგალითები: გველვეშაპი—
გველეშაპი, გეპატიეს--გვაპატიეს (იქვე, გვ. 114), ეფეი—ეფი (მთიულურში, პროფ.
ა. შანიძის გადმოცემით) და სხვ. ჰვერ-ში იმავე კანონით დაკარგა ე. ი
კანონითაც მისგან განეთარებულს გვერ-ში, საიდანაც. ნ. მარრით (ibid.
წარმოდგა გერი-ფერი-სამეგრელო. ამბაირად, გეოგრაფიულად და ფონეტიკ-
ურად ქართული ჰერეთი უნდა იყოს კლასიკურ მწერალთა იბერია. იბერია-
ჰერეთის სარეგტო ქალაქი თავდაპირველად უნდა ყოფილიყო სტრაბონის ხეთა-

დამ საცილობელ საგანს შეადგენდა რომაელთა და სპარსთა შორის, თუმცა უფრო ხშირად რომაელების პროტექტორატის ქვეშ იმყოფებოდა. მეოთხე საუკუნის ნახევარში, 349 წელს, იბერიამ საბოლოოდ შეკოიერთა ეთნოგრაფიული ქართლი ან გოგარენი-გუგარქი. ვინაიდან ეს უკანასკნელი, სომხებთან მტკიცე კულტურული კავშირის გამო, განათლებით გაცილებით მაღლა იდგა, ვიდრე, კლასიკურ მწერალთა დახასიათებით, ბარბაროსული იბერია, მან სულიერად დაიმორჩილა ერთტომი და მონათესავე იბერები (მსგავსად იმისა, როგორც დაპყრობილმა ბერძნებმა სულიერად დაიმორჩილეს დამპყრობელი რომაელები), მისცა მას ოიკისი ენა, თავისი მწერლობა და თავისი სახელი პოლიტიკურად. ამის გამო იბერია-ჰერეთზე თანდათან ვრცელდება სახელწოდება ქართლი. ასე რომ უკვე შეხედეთ საუკუნეში, თუ შუშანიკის ცხოვრებას დავუჯერებთ, ქუეყანაჲ ჰერეთისაჲ- მოქცეული იყო „საშჳლვართა შინა ქართლისათა“. მაშასადამე ნაწილი მისი ქართლად იწოდებოდა. რაც უფრო ვრცელდებოდა ქართლის პოლიტიკური შინაარსი, ჰერეთის საზღვრები აღმოსავლეთისაკენ იწევდა, ასე რომ მეათე-მეთერთმეტე საუკუნეში ის, ჰერეთი საკუთრივ, შეიცავდა მცირე ტერიტორიას ილურსა და ალაზანს შუა, როშელიც ჯერ კახთა მეფეებმა დაიკავეს, ბოლო მერე შეწოლეთია საქართველოს დაეთი აღმაშენებელმა[1].

ამნაირად, აღმოსავლეთ-საქართველოს ტერიტორიაზე ცნობილი იყო ქართველთა ორი მთავარი ტომი: საკუთრივ ქართები და ჰერნი. მათ ჰყოფდა ალბინარე მტკვარი. მეოთხე საუკუნის ნახევარამდე ისინი ცალ-ცალკე ცხოვრობდენ: ქართები სომხეთის ფარგლებში, ჰერნი თავიანთ სახელმწიფოში. რომელსაც იბერია-ჰერეთი ერქვა. 349 წლიდან ისინი გაერთიანდენ პოლიტიკურად და კულტურულად. პოლიტიკური და კულტურული ჰეგემონია ქართლმა ჩაიგდო ხელში და თანდათან განდევნა ხმარებიდან ტერმინი იბერია-ჰერეთი, ასე რომ ამ ტერიტორიას ჯერ მისცა სახელი ქართლი, მერე საქართველოდ გადაქცეული. ამით აიხსნება, რომ ჩვენს ძველს მწერლობაში, რომელიც მას შემდეგ დაწყებულა, რაც ქართლი პოლიტიკურ ტერმინად იქცა, ეთნოგრაფიული ქართლის და იბერიის ტერიტორია გაშიჯნული არაა; ჰერეთი კი მიჩნეულია ერთ პატარა პროვინციად.

[1] ეგეოი (XI, ტ. 3, ᲜᲬ ᲜᲐ, ბოლო პირველი საუკუნის გასულიდან თუ მეორედან ბრიალეს შემდეგ სატარტო ქალაქად გაშენდა მცხეთა.

[1] ს. გორგაძის ვარაუდი, გვ. 4.

[1] შად. ს. კაკაბაძე, წერილი ნინო და მისი მნიშვნელობა საქართველოს ისტორიაში, გვ. 8—12. ტფილისი 1912 წ.

ებლა უნდა გავითვალისწინოთ პროცესი ქრისტიანობის შეღწევისა და დამყარებისა როგორც საკუთრივ ქართლში, ისე იბერიაში.

VII

ეთნოგრაფიულს ქართლში, ან გოგარენ-გუგარქში. რომელიც მეოთხე საუკუნის ნახევრამდე, როგორცა ვთქვით, სომხეთის ფარგლებში იყო მოქცეული. ქრისტიანობა უნდა შემოსულიყოს იმავე ენოსა და იმავე წყაროდან, რა დროსაც და რა წყაროდანაც ის თვით სომხეთში შემოვიდა, სახელდობრ, აღმოსავლეთიდან. იერუსალიმიდან[1]. იერუსალიმიდან ქრისტიანობა გავრცელდა პირველად აღმოსავლეთ-სირიაში და მის დედა-ქალაქ ანტიოქიაში, რომელიც ქრისტიანობის მეორე აკვნად იქცა. აქედან. ანტიოქიიდან. ქრისტიანობა მთელს აღმოსავლეთს მოეფინა, კერძოდ სომხეთშიაც შეაღწია. სომხეთსა და ანტიოქიას შუა მდებარეობდა სახელმწიფო, რომელსაც ოსროენა ერქვა, დედა-ქალაქით ედესითი. ლეგენდა, ვითომც ედესის მეფემ აგგაროზმა ქრისტეს მოციქულები გაუგზავნა და თავისთან მიიპატიჟა. ეკუთვნის აგგაროზ მეცხრეს, რომელიც მეორე საუკუნის გასულს მეფობდა და რომლის დროსაც საუკეთესო ჩაეყარა ედესის ქრისტიანობას[2]. აშკარად, ისტორიული ფაქტი. ედესიაში ქრისტიანობის დამყარება აგგაროზ მეცხრის დროს. ლეგენდას გადაუტანია ქრისტეს ეპოქაში და აგგაროზ ძეგეთისათვის მიუწერია. ერთი სიტყვით, ოსროენაში ქრისტიანული ეკლესიის ორგანიზაცია მხოლოდ მეორე საუკუნის გასულს დაიწყო. ოსროენაში ბევრი სომეხი ცხოვრობდა. თვით ნამდვილი სომხური ტერიტორიაც მდებარეობდა ამ საქმეთში. მაშასადამე, ეპვს გარეშეა. ოსროენაში ქრისტიანობას ადგილობრივი სომხებიც შეიყვანებდენ და აქედან ის მოსაზღვრე სომხეთის სამეფოშიაც გადაეტანა. ცნობილს საეკლესიო მწერალს, ტერტულიანეს, თხზულებაში, რომელსაც ეწოდება Adversus Judaeos და რომელიც მესამე საუკუნის პირველს ათეულში დაწერილი, ჩამოთვლილია (cap. 7) ის ქვეყნები და ერები,

[1] К. Кекелидзе, К вопросу об Иерусалимском происхождении грузинской церкви. Петерб. 1914 г.

[2] A. Harnack, Mission und Ausbreitung des Christentums in den ersten drei Jahrhunderten II, 117-118, 2 Aufl. A. Gutschmid, Untersuchungen über die Geschichte des Königreichs Osroene (*Mem. de l'Acad. de St.-P.* 1887).

ორმელნიც იმ დროს უკვე იცნობდენ ქრისტიანობას, და ეროდ ეიუსახელებია: „პართნი, მიდნი, ელამიტელნი, მკვიდრნი ... ...

ამის შემდეგ და გრიგოლი ეპისკოპოსად აკურთხეს ქ. [illegible]ში: ეს უნდა მომხდარიყოს 290 წლის ახლო ხანებში [1], ყოველ შემთხვევაში არაუგვიანეს 296 წლისა, როდესაც დიოკლიტიანემ მცირე სომხეთისათვის შექმნა მელიტენის სამიტროპოლიტო, მანამდის კი ცენტრი კესარიაში იყო [2]. ამნაირად, როგორც საკუთრივ სომხეთში, ისე. თავისთავად იგულისხმება, მის ფარგლებში მყოფს ქართლ-გუგარქში, ქრისტიანობა უკვე მესამე საუკუნის გასულს ოფიციალურად მიღებული ყოფილა. ამით აიხსნება, რომ იოანე სჯბანაძე მერვე საუკუნის ოთხმოციანი წლების გასულს ქართველთა შესახებ ამბობდა, რომ ისინი „ხუთას წლისა ჟამთა და უწინარესთა სჯულდებულ არიან წმიდითა მადლითა ნათლისღებისაჲთაო" [3]. ქართლ-გუგარქში ქრისტიანობა იმავე მისიონერებს უნდა გაევრცელებინოს, რომელნიც მას სომხეთში ავრცელებდენ. ჩვენ გვგონია, რომ გრიგოლის არაბულს აქტებში, სადაც ლაპარაკია, ორდატთან ერთად, ქართველთა მეფის მონათლვისა და საქართველოში საგანგებო მიტროპოლიტის გაგზავნის შესახებ [4], რეალურად გადმოცემული უნდა იყოს ტრადიცია გუგარქის ბდეშხის მოქცევისა და იქ ეკლესიური ორგანიზაციის შექმნისა სომხეთში მომქმედ მისიონერთა მიერ.

VIII

სომხეთიდან და ქართლ-გუგარქიდან ქრისტიანობა იბერია-ჰერეთშიც გაიკაფავდა გზას: ეს რომ ასეა, ამას ადასტურებს მესატიანეს თქმულება რევ მეფის (186-213) შესახებ: „ესე რევ მეფე დალაკიოს იყო წარმართი, არამედ იყო მოწყალე ყოველთა და შემწე ჭირველთა, რამეთუ სმენილ იყო მისდა სახარება უფლისა ჩუენისა იესო ქრისტესი და აქუნდა რაჲმე სიყუარული ქრისტესი და მან მეფო-

მიტროპოლიტად დადგენილ იბერიელებთან ერთად, თვითმხილველი იყო 41 მოწამეთა ჭარტვილობისა ქ. სებასტიაში (321 წელს) და რომელმაც გრიგოლს მისცა ათინოგენ მოწამის († 311 წელს) ნაწილები.

[1] ამნაირადვე ათარიღებს ამ ფაქტს A. Harnack-იც, Mission und Ausbreitung II, 171.

[2] Проф. Н. Адонц. Армения в эпоху Юстиниана, стр. 380.

[3] ცხოვრება აბო ტფილელისა, საქართველოს სამოთხე, გვ. 334. საგანგებო მუზეუმის გამოცემა № 8, გვ. 7-8. ტფილისი 1899 წ. აბოს ცხოვრება დაწერილია 790 წლის ახლო ხანებში; 790-500=290. ქართლ-გუგარქის საბოლოოდ მოქცევის დრო, ბოლო „უწინარესი" ჟამი—მესამე საუკუნის დამდეგიდან 290 წლამდე, როდესაც სპორადულად შემოდიოდა აქ ქრისტიანობა.

[4] Проф. Н. Марр, Крест. арм. груз., адаж. и лаз. ст. Грат., стр. 131-7.

ბასა შინა მისსა არლარავის უტევა ქართლსა[1] შინა ყრმათა [illegible] რომელსა იგი ამისსა უწინარეს და პირველ კერპთა მიმართ შესწირ ვიდეს მსხუერპლად ყრმათა. არამედ ცხოვრისა და ძროხისა შეწირვ განუწესა და ამისათჳს ეწოდა მას რევ მართალი"[2]. ჩანს, მესამე საუკუნის პირველ ნახევარში იბერიაში იმდენად საგრძნობი ყოფილ ქრისტიანობის გავლენა, რომ ის მეფესაც კი სცნობია და ადამიანთა მსხვერპლად შეწირვის ჩვეულების გადაგდებისათვის ხელი შეუწყვია. ამ საუკუნის გასულს, მას შემდეგ, რაც თრდატ, სომხის მეფე მოიქცა, „მიერითგან ქება-დიდება ქრისტესი არლარა ფარულად ითქმოდა ქართლსა შინა, რამეთუ მადლსა ღმრთისასა ეწყო მოფენად ალმოსავლეთს"[3]. მაგრამ ჯერ კიდევ „ქება-დიდება ქრისტესი ფარულად ითქმოდა". ის ნებადართული არ ყოფილა; საჭირო იყო, თუ მეტი არა, ნახევარი საუკუნე მაინც, რომ ის ოფიციალურად ნებადართული შექმნილიყო უზენაესი ხელისუფლების მიერ.

ეხლა, მაშასადამე, მივადექით მთავარ საკითხს: როდის მოიქცა იბერია და როდის შეიქმნა იქ ქრისტიანობა ნებადართულ სარწმუნოებად? ამ საკითხის გარკვევისას ჩვენს განკარგულებაში ორი კატეგორიის წყაროებია: ქართული და ბიზანტიური[4].

ქართული წყაროები შემონახულია „მოქცევაჲ ქართლისაჲ"-ს ქრონიკა"ში და წმ. ნინოს მატბერდულ-ჭელიშურს ცხოვრებაში, რომელიც საბოლოოდ ჩამოყალიბებულია 882-912 წლებში[5]. ისტორიული ღირებულება ამ წყაროებისა მაინცადამაინც დიდი არ არის, ისინი სავსეა ლეგენდებით, ანაქრონიზმებით და ერთიმეორის საწინააღმდეგო ფაქტებითა და თქმულებებით[6]. რაც შეეხება ბიზანტიურ [illegible]

[1] ქართლსა=იბერიასა; მატიანე და საზოგადოდ ჩვენამდე შენახული წ�lობითი ძეგლები იმ დროისა არიან, როდესაც ძველი ეთნოგრაფიული გაგება დავიწყებული იყო და იბერიასაც ქართლი ეწოდებოდა პოლიტიკურად.

[2] ქართლის ცხოვრება მარიამ დედოფლისა, გვ. 43.

[3] Ibid. გვ. 73.

[4] არ ეკუთვნებათ საგანგებოდ სომხური წყაროს, რომელიც მოსე ხორენელის სახელითაა შენახული, არც ეთიოპიურს, კოპტურს და არაბულ სინაქსრებს (O. Lemm, Zur Geschichte der Bekehrung der Iberer zum Christentum, *Изв. Академии Наук* 1899, т. X., № 5, стр. 416-434), ვინაიდან ეს წყაროები დაბეჭდილია ჯელალი—რუფინობის თქმულებაზე და ადგილობრივს ქართულ ცნობებზე.

[5] კ. კეკელიძე, ქართული ლიტერატურის ისტორია I, 569-579.

[6] კ. კეკელიძე, იქვე. პროფ. ივ. ჯავახიშვილი, ძველი ქართული ისტორიული მწერლობა, ტომ. 2, გვ. 73-91. მისივე. „ანდრია მოციქულის დ. წმ. ნინოს ძოლვაწეობა საქართველოში". მოამბე 1930 წ. V-VI.

ცნობებს. მათ პირველწყაროდ ამდენად მიჩნეული იყო ისტორიკოსი რუფინოზი, რომელმაც 401-402 წლებში გადათარგმნა ლათინურად ევსევი კესარიელის „საეკლესიო ისტორია“ და გაგრძელების სახით დაურთო მას ორი წიგნი (X XI), სადაც, სხვათა შორის, იბერთა მოქცევის შესახებაცაა ლაპარაკი. მაგრამ 1914 წელს გერმანელმა მეცნიერმა Anton Glas-მა თავის სადოქტორო დისერტაციაში[1] დაამტკიცა, რომ რუფინოზს ეს ორი წიგნიც ბერძნული ენიდან უთარგმნია, სახელდობრ, კესარიელი (პალესტინაში) მიტროპოლიტის გელასის თხზულებიდან. გელასი იყო დისწული იერუსალიმის მეორე ეპისკოპოზის კირილესი (350 386), რომელსაც ის კესარიის მიტროპოლიტად უკურთხებია 367 წელს. თუმცა, არიანოზთა ინტრიგებისგამო, კათედრის დაკავება მას მხოლოდ 381 წელს მოუხერხებია

გელასის, რომელიც 395 წელს გარდაცვლილა, თავისი მიძღვნილი, კირილე იერუსალიმელის, შეკვეთით, მისსავე სიცოცხლეში, დაუწერია ევსევი კესარიელის „საეკლესიო ისტორიის“ გაგრძელება... ეს გაგრძელება უთარგმნია ლათინურად რუფინოზს. ბერძნული ტექსტი მისი, ყოველ შემთხვევაში ის ნაწილი მისი, რომელიც ჩვენს საკითხს ეხება, შემონახულია გელასი კვიზიკელის შრომაში, რომელიც დაწერილია 475 წლის ახლო ეპოქაში[2]. ამოიგავდ, ყველაფერი ის, რაც რუფინოზს აქვს მოთხრობილი იბერთა მოქცევის შესახებ, ამოღებულია გელასი კესარიელის თხზულებიდან[3]. საკუთარი, გელასი კესარიელის შრომა უცვლელად არ შენახულა ორივ რუფინოზის თარგმანში, ორივ გელასი კვიზიკელის კომპილაციაში: ორივ ლაკონურად ავრცობენ მას. ადგილადგილ სცვლიან. უმატებენ სიტყვებ. წინადადებებს. სახელებს, ცნობებს, რომელნიც ხშირად საჭიროებ. არ ეგუებიან[4]. გელასი კესარიელს იბერთა მოქცევის ამბავი გადა-

[1] Die Kirchengeschichte des Gelasios von Kaisareia – die Vorlage für die beiden letzten Bücher der Kirchengesch. Rufins, Leipzig-Berlin, Teubner 1914.

[2] Gelasii Cyziceni, Historiae Concilii Nicaeni lib. III. (A. M. Ceriani, Monumenta sacra et profana ex codicibus praesertim bibliothecae Ambrosianae, Tom. I, 130 ss. Mediolani 1861). Migne, Patrol. Curs. Comp. s. gr. t. 85. col 1179-1260. Marg. Heinemann, Gelasius' Kirchengeschichte, Leipzig, Hinrichs 1918.

[3] იხ. ს. ყაუხჩიშვილის ბიბლიოგრაფია „ჩვენი მეცნიერება“ №№ 6—7, 1923 წ. გვ. 96—100

[4] A. Glas-ის დასახელებული თხზულება, გვ. 74—75, 77—78. ს. ყ[illegible] და ს. ო[illegible]ი, რომელსაც იბერთა მოქცევის ამბავს გადმოვცემენ, ემყარება რუფინოზის თარგმანს, ხოლო თეოდორიტე კვირელი—გელასი კესარიელის ბერძნულ ტექსტს.

სცა „ფრიად საოწმეულო ბაკურიმ. კაცმა ფრიად ღვთისმოშიშ-მეფის შთამომავალმან და იბერთა შორის სახელოვანმან-, შელიც გახდა რომაელთა სატრაპი და აწარმოვა ომი ბარბაროს საკინოზთა წინააღმდეგ პალესტინის მწვერვალებზე და მათზე ბრწყინვალედ გაიმარჯვა“ [1]. ამით აიხსნება, რომ ჩონჩხი გელასი კესარიელის და ქართულ წყაროთა თქმულებებისა ერთიდაიგივეა [2]: იბერთა მეფეს ქრისტიანობა მიუღია 1) ტყვე-ქალის ქადაგებით, 2) ნადირობის დროს მზის დაბნელების გამო, 3) იმპერატორის კონსტანტინეს დროს, 4) რომლისაგანაც მას საჩვენებელობა გამოუთხოვია და მიუღია კიდეევაც.

IX

მთავარი საკითხები იბერთა მოქცევის ისტორიიდან შემდეგია: 1) ვინაობა იმ მეფისა, რომელმაც პირველად აღიარა იბერიაში ქრისტიანობა ოფიციალურად: 2) წელიწადი მისი მოქცევისა. 3) ვინაობა მისი მოქცევი მისიონერისა. საბოლოოდ, ვერც ქართული, ვერც ბიზანტიური წყაროები ვერ გვაძლევენ ჩვენ ამ საკითხებს. ამიტომ მათი გათვალისწინებისათვის უნდა მივმართოთ სხვა გზას და სხვა მოსაზრებებს. მაგრამ, ვიდრე ამ საკითხების გარკვევას შეუდგებოდეთ, უნდა შევჩერდეთ იმ ლოკალიზაციაზე, რომელსაც უკეთებენ ი ბ ე რ ი ა ს მისი მოქცევის ისტორიკოსები. გელასი კესარიელი ამბობს, რომ იბერები ცხოვრობდენ „პონტის გასწვრივ მდებარე მიწაწყალზე“ (περὶ τὴν κατὰ Πόντον τῆς Ἰβηρίας). რუფინოსის ცნობით „Iberorum gens sub axe Pontico jacet“, ხოლო სოკრატე სქოლასტიკის გადმოცემით იბერები ცხოვრობდენ ევქსინის პონტის საპირეზე. ამაზე შეჩერება მეტი ეფერო საჭიროა, რომ ამ ოცი წლის წინათ პროფ. ნ. მ ა რ რ ი ს წამოაყენა თეორია, ემთავრესად ლინგვისტურ-ტოპონიმიურ მოსაზრებებზე დაფუძნებული, რომლითაც ის იბერია, რომლის მოქცევას ბიზანტიელი და სხვა ისტორიკოსები მოგვითხრობენ, მოთავსებულია დასავლეთ-საქართველოში, ლაზების ჩრდილო-აღმოსავ-

[1] შესაძლოა, ბაკური რუფინოსსაც იცნობდა პირადად, ვინაიდან ისიც მისი დროს ცხოვრობდა პალესტინაში, და იბერთა მოქცევის ამბავი მასაც ეამბნა.

[2] ოღონდ თავდაპირველი ქართული წყაროებით ვერსია იბერთა მოქცევისა, რომელიც, შესაძლოა, ბართლაც გ ო ი გ ო ლ დ ი ა კ ო ნ ს ეკუთვნოდა, შეგვენილი უნდა ყოფილიყო ჩელასი-რუფინოსის ზეგავლენით.

ლეთით, დღევანდელი სამეგრელოს საზღვრებში [1]. ნ. მარრის სტატიკით, პეტრე მაჯუბელიც ამ ადგილიდან იყო. ამ ადგილის მკვიდრნი ეკუთვნ პროკოპი კესარიელის „იბერნი, რომელნიც ყველა ერებზე უკეთ იცავდენ ქრისტიანობას“; ამ ივერთა მონასტერი იყო ის მონასტერი, რომელიც მეექვსე საუკუნეში გაანაბლა იუსტინიანე დიდმა (De Aedificiis, V,9). თუ ეს ასეა. გამოდის, რომ ამ შეხედულებაში ლაპარაკია ერთერთ ქართველ ტომზე, რომელიც დასავლეთ-საქართველოში ბინადრობდა, და აღმოსავლეთ-საქართველოს მოქცევის შესახებ ალარავითარი ცნობა ალარ გვრჩება ხელში. მაგრამ ეს ასე არ არის. 65 წლიდან შოკოლებული ქრისტეს დაბადებამდე კლასიკური მწერლები და გეოგრაფები იბერიას უჩვენებენ აღმოსავლეთ-საქართველოში, კოლხიდასა და ალბანიას შუა, სომხეთის ჩრდილოეთით. ამას ბარის უეჭველ იბერთა მოქცევის ერთერთი ისტორიკოსიც, სახელდობრ სოძომენი, რომელიც ამბობს, რომ „ეს ბარბაროსი ერი სომხეთის ჩრდილოეთით ცხოვრობსო“. პროკოპი კესარიელი, თანახმად სტრაბონისა [2], აღნიშნავს, რომ კოლხიდისა და იბერიის საზღვარს შეადგენს ციხე შორაპანი [3]. მაშასადამე, როგორ შეეძლო ამას საუკეთესო ქრისტიანედ მიჩნეული იბერები დღევანდელს სამეგრელოში მოეთავსებია? საქმე შემდეგნაირად უნდა წარმოვიდგინოთ: ჯერ კიდევ სტრაბონი ამბობდა, რომ შავიზღვის სამხრეთ-აღმოსავლეთით მდებარე ტერიტორიის, ბესხეთის, ერთი ნაწილი იბერიის ფარგლებში შედისო [4]. პროკოპი კესარიელის მოწმობითაც, შავიზღვის სამხრეთ-აღმოსავლეთით, ქ. პეტრას ქვემოთ, რომელიც ლაზიკის სამხრეთ-საზღვრად ითვლებოდა [5], მდებარეობს ბესხეთი, რომელიც იბერიის სამეფოს ეკუთვნის [6]. მაშასადამე, გარკვეულს ხანაში იბერია ჭორუხის მიდამოში შავზღვას აწვდა [7]. გელასი კესარიელს, ოუფინოს და სოკრატეს, ჩანს, მოლიანი გეოგრაფიული წარმოდგენა არ ჰქონიათ იმ ქვეყნის შესახებ, რომლის მოქცევას მოგვითხრობენ, და იბერიად მიუღიათ მხოლოდ ერთი ნაწილი მისი, რომელიც

[1] Крещение армян, грузин, абхазов и аланов св. Григорием, стр. 170-174.

[2] Geographica, lib. XI, c. III. 4.

[3] De bello Persico II, 29.

[4] Geugraphica, lib. XI, c. II, 18.

[5] De bello Persico II, 29; De bello Gotthico IV, c. 2, § 21—23

[6] De bello Gotthico, IV, c. 2, § 24—26.

[7] ს. ყაჯაბაძე, ქართული სახელმწიფოებრივობის გენეზისის საკითხები ისტორიო მოამბე I, 21, 203.

შავიზღვის სამხრეთ-აღმოსავლეთით მდებარეობდა. სახელდებული ის ისტორიული მესხეთი და მისი მიდამოები. ამით აიხსნება ეპონიმ ბერძენთან დაკავშირებული ლოკალიზაცია იბერიისა, რომელსაც ჩვენ ბათის პოთხრობაში ეჰპოულობთ.

ამნაირად, მეოთხე საუკუნეში მოქცეული იბერია არის აღმოსავლეთ-ქართველთა სახელმწიფო და არა დღევანდელი საშეგრელოს ტერიტორია, როგორც ნ. მარრი ფიქრობდა.

X.

იბერთა პირველს ქრისტიან მეფეს ბიზანტიური წყაროები არ ასახელებენ, ალბათ, ბაკურსაც არ დაუსახელებია ის გელასი კესარიელისათვის: სამაგიეროდ, ქართული წყაროების დაჟინებითი და კატეგორიული გადმოცემით, რომელსაც მხარს უჭერს მოსე ხორენელიც (II, 86), ეს მეფე იყო მიჰრანი ან მიტრიანი. ამაში ბოლოდროინდელ აზრს არავის შეჰქონდა ეჭვი. ეს ერთგვარი დოლმა იყო არა მარტო ეკლესიისა, არამედ ძველი დროის მწერლებისა და ახალი დროის მკვლევარეთისაც. მხოლოდ 1895 წელს გერმანელმა მეცნიერმა Richard Raabe-ემ გამოსცა ასურული ტექსტი პეტრე მაიუმელის ცხოვრებისა [1], სადაც ხაზგასმითაა აღნიშნული, ისიც არა ერთხელ, არამედ რამდენჯერმე, რომ პირველი ქრისტიანი მეფე იბერიისა იყო პეტრეს ჰაპა (დედის მამა) დიდი ბაკურა, რომელმაც ის ერი მოაქცია. ამ ახალ ცნობას გამოეხმაურენ ზოგიერთი ისტორიკოსებიც, როგორც მაგალითად, პროფ. ე. ბოლოტოვი [2] და ივ. ჯავახიშვილი [3], რომელთაც ის შესაწყნარებლად დაინახეს. მაგრამ, როგორც თავის დროს ეს ს. გორგაძემაც შენიშნა [4], დასახელებული წყარო ამ მუხლში ისტორიულ სინამდვილეს არ უნდა შეიცავდეს. წარმოუდგენელი და დაუჯერებელია, რომ ქართველებს და ქართულ ეკლესიას დაეწყუბოდეს სახელი თავისი პირველი ქრისტიანი მეფისა. შესაძლებელია, როგორც ამას ქვემოთაც დავინახავთ, არსოდნა ან დაეწყება აგ ამბის თანამედროვე ბიზანტიის ან სხვა რომელიმე

[1] Petrus der Iberer. Ein Charakterbild zur Kirchen- und Sittengeschichte des fünften Jahrhunderts. Leipzig 1895.

[2] Журналы Совета Петерб. Духовной Академии за 1896-7 г. стр. 253—264.

[3] ქართველი ერის ისტორია I. 180—181.

[4] საქართველოს ეკლესია და მისი დასაწყისი, ტფილისი 1907 წ. III. გვ. 19—37.

ეკლესიისა, მაგრამ ძნელი დასაჯერებელია დავიწყება ასეთისა
ისა მეფისა. ასეთული ცნობის წარმოშობის ასახსნელად ორი
ძლიერ ლობა არსებობს: 1) ავტორი განგებ ახვიადებს ad majorem gloriam Petri მისი პაპის, ბაკურის, პიროვნებასა და ღვაწლს: მარტლოა ეს. მას არა ჩვეულებრივ ადამიანად გამოჰყავს არა მარტო ბაკური, არამედ ყველა წმიდანები პეტრესი. საკმარისია ალეხიშნოთ, რომ ყველა მისი პახლობელნი, ავტორის გადმოცემით, წმიდანები არიან: წმიდანებად გამოჰყავს მას ბაკური და მისი მეუღლე დუხტია. ძმა ბაკურისა არჩილი, დედა პეტრესი ბაკურდუხტია, მისი ბები (მამის დედა) ოსდუხტია, მისი ალმშობლელები ეკეკლ და ოწა, ეთი სიტყვით, ავტორის ტენდენცია პეტრეს ახლობლების დახასიათებისას მეოთხეულისათვის აშკარაა. მას სურს გაადიდოს ისინი და ხაზს უსვამს განსაკუთრებით მათ საეროწმიანოებრივ-ეკლესიურ ღვაწლსა და ღირსებას. 2) შესაძლებელია, ავტორი, შეეტანა საუკუნის მწერალი. ბეცთომაში შეიყვანა რუფინოზის ფრაზა: Bacurius, gentis ipsius rex. ანადა სოკრატეს სიტყვებმა: Βακούριος Ἰβηρίας καὶ πρῶτος χριστιανὸς μετὰ βασιλέως ἐγένετο [1]. ამგვარსავე შეკითხვაში შეეძლო შეეყ-

[1] ასეთივე შეკითხვაში შეიყვანა რუფინოზის სიტყვებს ეკლესიის ისტორიკოსი Thomas de Jesus. თავისთვისთა ოფიციალური ეკლესიის ცნობა, რომელსაც საქართველოში 200 წელი დაუყენია XVII საუკუნეში და თავისი თხზულება „საქართველოს ეკლესიისა" ეადგენა. ამ ეკლესიისა ეს ... ...

ვანა ის ანტიოქიის გამოჩენილს იუოისტსა და რიტორს [illegible] ნიოსს, რომელთანაც ბაკურს ნაცნობობა ჰქონია: 391 წელს ბაკური ანტიოქიაში ყოფილა და ლიბანიოსისათვის გაუმეტებელია თავისი განსაკუთრებული პატივისცემა (Libanii Epist. 963.964). ლიბანიოსი გადმოგვცემს, რომ ბაკური თავდაპირველად წარმართი იყო და მერე გაქრისტიანდაო (Epist. 980)[1]. აქ, რასაკვირველია, არაა ნათქვამი, რომ ბაკური პირველი ქრისტიანი მეფე იყო იბერიისა, ეს მხოლოდ იმას ნიშნავს, რომ ბაკური ქრისტიანობაში არ დაბადებულა, ისე, როგორც მირიანი და სხვა წევრი მისი ოჯახისა. მაგრამ ჰაგიოგრაფს შეეძლო გაეგო ეს ცნობა სწორედ ისე, როგორც მას გადმოეცა.

ჩვეულებრივ ფიქრობენ, რომ პირველ ქრისტიან მეფეს, ბაკურს, პეტრეს პაპას, იძულებით ოუ ნებაყოფლობით, ტახტი მიუტოვებია და ბიზანტიაში გადასახლებულა, სადაც მას სამსახურიც მიუღია. ხელდობრ კეისრის სეფე-ჯარის უფროსობა პალესტინაში, პალესტინაში ყოფნისას, იერუსალიმში, მას რუფინოზისათვის გადაუცია იბერთა მოქცევის ამბავი, ომებში მონაწილეობა მიუღია და 394 წელს ევგენიოს ტირანთან ბრძოლაში ჰოკლულა[2].

ყველაფერი ეს სინამდვილეს არ შეესაბამება: ის ბაკური, რომელმაც რუფინოზს იბერთა მოქცევის ამბავი გადასცა, არ ყოფილა არც პირველი ქრისტიანი მეფე და არც პეტრე შაგუნელის პაპა.

მაგრამ, საკმარისია ზერელედ გადაიკითხოთ რუფინოზის (=გელასის) თქმულება, რათა დარწმუნდეთ, რომ ბაკური თავისთავზე კი არ ლაპარაკობს აქ და საკუთარ თავგადასავალს კი არ გადმოგვცემს, არამედ მესამე პირზე, ეილაც სხვა მეფეზე გვესაუბრება. თან, არც რუფინოზი ამბობს, რომ ეს ამბავი მას თვით ახლად მოქცეულმა პირველმა მეფემ გადასცა: ბაკური, მისი თქმით, იყო მხოლოდ gentis ipsius rex, გელასი კესარიელის ტექსტით კი ის მეფეც არ ყოფილა, არამედ „მეფეთა შთამომავალი" მხოლოდ[3].

ჩვენ გვგონია, რომ რუფინოზ-გელასის მოსაუბრე ბაკური იყო

[1] Pauly-Wissowa, Real-Encyclopädie der classischen Altertumswissenschaft, II, 2724—2725.

[2] Проф. В. Бояджиев. Журналы Совета Петерб. Духовн. Академіи за 1886-7 г. стр. 351-1.

[3] A. Glaser ეიჭრობა, რომ ლაპარაკი უფრო სწორია, ვიდრე ეს ადგილი მეფე, მისი ოჯახი, ბიზანტიელთა სამსახურში არ შევიდოდა (Die Kirchengeschichte des Gelasios, S. 52). ამ მეფეს ისტორიკოსი Zosimus შეცთომით სომხად სთვლის (ed. Mendelssohn IV, 57,1).

მირიან მეფის მემკვიდრე ბაკური[1]. რომელიც, მატიანეს ცნებით, ჯერ კიდევ გაძეფებამდე იზრდებოდა ბიზანტიაში, როგორც შეეფალი: ბანმოკლე მეფობის შემდგომ, არაუადრეს 362 და არაუგვიანეს 368 წლისა, ის, ჩანს, ისევ ნაცნობ ბიზანტიას შეფარებია. სწორედ ამ ბაკურისათვის შეეძლოთ ეწოდებინათ როგორც gentis ipsius rex (რეფინოზი), ისე ἀνὴρ τῶν βασιλικῶν γένους (გელასი).

იერუსალიმელი ბაკური, იბერთა მოქცევის მომთხრობი, არ იყო „დიდი ბაკურ მეფე". პეტრე ბაგეველის პაპა. საქმე ისაა, რომ იერუსალიმელი ბაკური, ბიზანტიელ ისტორიკოსთა მოწმობით[2], მოუწყლავთ ევგენიოზ ტირანთან ბრძოლაში 394 წელს მდინარე ფრიგიდუსთან, იტალიაში, ქ. აქვილეადან 36 მილის დაშორებით[3]; პეტრეს პაპა ბაკური კი ოთოქოს ქრისტიანობისათვის უწამებიათ სპარსეთში. ამის შესახებ ასურული ბიოგრაფია გადმოგვცემს შემდეგს: „ბაკურმა, ყველა სათნოებასთან ერთად, მოიგო აგრეთვე გვირგვინი ღმსარებლობისა ან, უკეთ რომ ვთქვათ, მოწამეობისა: მას მშვიდობიანობის ხელშეკრულება ჰქონდა დადებული სპარსეთის მეფესთან და მის მხედარმთავრადაც ითვლებოდა, ამიტომ ის ერთხელ ომში იყო გაწვეული შაჰისაგან. მზის ამოსლვისას მეფე, მხედართმთავარნი და დიდებულნი ჩამოხტენ ცხენებიდან და დაიწყეს მზის ლოცვა-ვედრება, ბაკური კი ამ დროს განაგრძობდა ცხენზე ჯდომას. ის ამისათვის შეასმინეს შაჰს, რომელმაც მას მოუწოდა და ჰკითხა: მართალია ყველაფერი ის, რასაც შენზე ამბობენო?- ბაკურმა კადნიერად აღიარა თავისი ქრისტიანობა, რისთვისაც „ბეფე აენთო და გაკვირვებული ჩუმად ეკითხებოდა თავისიანებს: ნუ თუ ეს ბაკურია, რა უნდა უყოთ მასო?" მართალია, მოთხრობა ამაზე წყდება, არ არის ნაჩვენები, თუ რა უყვეს მას ამისათვის. მაგრამ ზემომოყვანილი სიტ-

[1] ასე ფიქრობდა ა. გ ო ლ ა ძ ე, საქართველოს ეკლესია და მისი დასაწყისი, მ ო ა ბ ე [illegible] III, 36.

[2] R u f i n u s XI (II) 33; Z o s i m u s IV 57,3-58,3.

[3] P a u l y-W i s s o w a. Real-Encyclopädie, VII,1, col. 104. ფიქრობენ, რომ ცნობა ზ ო ს ი მ ე ს ი, ვითომც ბაკური აღნიშნულს ბრძოლაში მოკლულიყოს, შეცთომაა, ვინაიდან რუფინოზთან საუბრის დროს ის კიდევ ცოცხალია (P a u l y-W i s s o w a. Real-Encyclopädie, II, 2724-2725); მაგრამ ეს გაუგებრობაა: ჯერ ერთი—ხაუბარია, მართლა იცნობდა ბაკური რუფინოზს და მართლა ესაუბრა მას (ბოლოს წყარო ზომ ლელაობს), მეორე—რატომ უნდა ეფიქროთ, რომ რუფინოზს ის ესაუბრა 394 წლის შემდეგ და არა უფრო ადრე, რუფინოზი იერუსალიმში ხომ 378 წლიდან იმყოფებოდა?

[4] R. R a a b e. Petrus der Iberer. S. 17—18.

ყველი „მოიგო გვირგვინი აღმსარებლობისა ან, უკეთ [illegible] მოწამეობისაო" გვაფიქრებინებს, რომ ის მარადლაც დაუსჯია.

გარდა ამისა საყურადღებოა შემდეგი გარემოება: დიდი ბაკურის შემდეგ, პეტრეს ასურული ცხოვრებით, იბერიის ტახტი დაცარიელებია, თანახმად იქ მოყვანილი მემკვიდრეობითი წესისა, მის მოხუცებულ ძმას არჩილს[1]. მართალია, IV V საუკუნეების მეფეთა ქრონოლოგია ჩვენს ისტორიოგრაფიაში ჯერ-ჯერობით ზედმიწევნით გარკვეული არაა, მაგრამ სომხური საისტორიო ინფორმაციებიდან დახმარებით მიახლოებით მაინც შეგვიძლია, ყოველ შემთხვევაში, ბაკურისა და არჩილის ეპოქა გავითვალისწინოთ. მესროპის ბიოგრაფი კორიუნი გადმოგვცემს: „მესროპი, სომხური ანბანის ჯამოგონების შემდეგ, გაემგზავრა იბერიაში, წარუდგა ამ ქვეყნის მეფეს ბაკურს და ეპისკოპოზს ბოსეს და მათი თანხმობით ქართველებს შეუქმნა ანბანი": ამავე ცნობას იმეორებს მოსეს ხორენელიც, რომლის გადმოცემით ეს ამბავი მოხდა მას შემდეგ, რაც ირანელი კეისარი გარდაიცვალა და ბიზანტიის ტახტზე ავიდა მისი შვილი თეოდოსი მცირე (III.54), ესე იგი 408 წლის შემდეგ. გაიცდა ამის შემდეგ კარგა ხანი და მესროპი, ვუგარქის ბდეშხის არშუშას მეპატრონეებით, მიდის საბისიონელო მიზნით ტაშირს: ამ დროს იბერიაში მეფობდა ვინმე არჩილი" (III.60). როგორც არ უნდა შეეხედოთ ჩვენ ამ ცნობას, ჩვეულებრივ ამას მარადლა კორიუნს, თუ ვინმე ყალბისმაძიებელს, ყოველ შემთხვევაში მეექვსე საუკუნის ბოლოს ან სომხურს მწერლობაში უკვე არსებობს (აბრაამ კათოლიკოზის წერილი 607 წლისა): მაშასადამე, ის ფაქტი, რომ იბერიაში მეხუთე საუკუნის პირველს მეოთხედში ცნობილნი იყვნენ ბაკური და არჩილ მეფეები, დამოწმებულია ასურული (პეტრეს ცხოვრება) და სომხური (კორიუნი და მოსე ხორენელი) წყაროებით. სომხური

[1] ibid. S. 15. 18. საყურადღებოა პეტრეს ასურული ცხოვრების დამატებითი ჩვენება, რომ, როდესაც ძალიან იყო ჯერ ბაკური და მის შემდეგ მისი ძმა არჩილი, ამავე დროს მეფედ იყო ავრეთვე პეტრეს მამა ბოსმარიოსი Raabe, S. 15.18); ნუ თუ ერთსა-ჯამავე დროს ორი მეფე იყო იბერიაში? აქ, ეჭვგარეშეა, ჩვენ გვაქვს გამოძახილი იმ ფაქტისა, რაც 363 წელს მოხდა იბერიაში: რომაელებმა და სპარსელებმა ამ წელს იბერია ორად გაყვეს, ერთს ნაწილში ჩააყენეს საურმაგი, მეორეში ასპაგური (Ammianus Marcelinus, Rer. gestarum lib. XXVII,12,21). ორმეფეობა იბერიაში მეხუთე საუკუნის პირველს მეოთხედშიაც არ მოსპობილა: ბაკური და არჩილი ყოფილან იბერიის ერთი ნაწილის (ალბად სპარსულის) მეფეები, ბოსმარიოსი კი მეორისა (რომაულის). ამ ორ საბეფოს ოჯახს შორის ნათესაური კავშირიც ყოფილა, ყოველ შემთხვევაში ქალის ალაბობის საბით.

წყაროებიდანა ჩანს, რომ ბაკურ მეფე ცოცხალია 408 წელს ეწ. ეკეთ რომ თქვათ, სომხური ანბანის გამოგონების შემდეგ (405-415) ადგილი ჰქონდა არაუადრეს 412 წლისა [1]. ეს კიდევ ცოტაა: როგორც დავინახეთ, არჩილი გამეფებულა დაახლოებით იმ ხანებში, როდესაც მესროპი ტაშირს მისულა. ეს კი, მოსე ხორენელის ქრონოლოგიით, მოხდარა 424 წლის ახლო ხანებში [2]. გამოდის, რომ ჯერ ბაკურ მეფეს თავის ძმის არჩილისათვის ტახტი გაუთავისუფლებია 424 წლის ახლო ხანებში; განა წარმოსადგენი და დასაჯერებელია, რომ კაცი, რომელიც მეფედ იჯდა კონსტანტინე დიდის დროს, მაშასადამე მეოთხე საუკუნის ოც-ოცდაათიან წლებში, 424 წლის ახლო ხანებშიაც კიდევ ცოცხალი და მეფედ ყოფილიყოს? [3] ეს ამიტომ ვამბობთ, რომ პეტრე მაგუმელის პაპა, „დიდი ბაკურ მეფე". არ შეიძლება ყოფილიყო პირველი ქრისტიანი მეფე იბერიისა. ასე რომ ტრადიციული ქართულ-სომხური რწმენა ურყევი რჩება: პირველ ქრისტიანი მეფე, რომლის დროსაც იბერიამ ქრისტიანობა მიიღო, არის მირიანი.

XI

როგორ წელს მოხდა მირიანისა და იბერია მოქცევა? ამ საკითხზე პასუხის გაცემა არც ისე ადვილია: არაბც თუ წელიწადი მირიანის მოქცევისა. ჩვენ ისიც კი არ ვიცით ეპემიუტანლად, როდის მეფობდა ის. ვახუშტის ქრონოლოგიით მირიანი მეფობდა 265-342 წლებში [4], ს. გორგაძის გაბოანგარიშებით 300-362 წლებში [5]; პროფ. ი. ჯავახიშვილი ამბობს მარკელინისა და პეტრე მაგუმელის ასურული ცხოვრების ცნობათა მიხედვით იმის

[1] ბალანტ ტერ-მკრტჩიანი, ეპოქა ორიგინალი 1913 წ. №№ 121—122.

[2] ოიდენსაც ვაიდანიკალა სპარსეთის მეფე იეზდიგერ I, ანუ იგი 420 წელს, მოუკლავთ სომხეთის მეფე შაპური, ამის შემდეგ სამი წლის განმავლობაში სომხეთში აღრეულება და ეწეოდა სეფეტდა (III, 56), ამიტომ შეოთხე წელს (424) სპარსეთის მეფემ ბაკურამ V სომხებს მეფედ მისცა არტაშირი; სწორედ ამავე ხანებში სპარსელი წასულა ტაშირს (III,63) და ვიგეგია, რომ იბერიაში არჩილი მეფობდა.

[3] ანადა დასაჯერებელია ვინა, რომ ეს ბაკური მეოთხე საუკუნის ოთხმოცდაათ წლებში კიდევ ყოფილიყო virtute animi et corporis insignum, როგორც ლეონი ამბობს (II, 33)?

[4] დიმიტრი ბაქრაძის გამოცემა გვ. 54—76.

[5] საქართველოს ეკლესია და მისი დასაწყისი, მოამბე 1944, III:24—25, 41—43. მისივე—წერილები საქართველოს ისტორიიდან II,63—67.

[illegible]ფობას სდებს არაუადრეს 337 წლისა და არაუგვიანეს 361 წლისა [illegible]ირიანს. resp. მიჰრანს. ასახელებს მოსე ხორენელიც თავის ისტორიაში: მისი თქმით, ის ყოფილა ერთერთი მბედარითმთავარი თრდატისა (III,85). დამტკიცებული ამ თანამდებობაზე 344 წელს ანტიოქეს მიერ, როდესაც მან ტახტზე აიყვანა თრდატის შვილი ქასრე (III,6), და გარდაცვლილი ქასრეს სიკვდილამდე († 353, III,10), [illegible]ოდილოეთის ბალხთა თავდასხმისას. 350 წლის ახლო ხანებში (III,9), როგორც ვხედავთ, მიროიანის ქრონოლოგია ჯერ კიდევ გარკვეული ოთაა. ამიტომ ჩვენ არ შეგვიძლია ვთქვათ, როდის დაიწყო მან მეფობა: ერთი კი ცხადია და უცილობელი, რომ 361 წელს ის კიდევ ცოცხალი იყო და ტახტზე იჯდა: ამშიანე მარცელინის გადმოცემით 361 წელს ითმაელებს, მიროიანის (Meribanes) ულის მოსაგებად, მისთვის [illegible]ოქრები გაუგზავნიათ[3].

[illegible]ადგანაც, როგორც დავინახეთ, მიროიანის მეფობას 265—361 [illegible]ლებში სდებენ. ცხადია, ამ ფარგლებში უნდა მოიძებნოს მისი [illegible]ქცევის წელიც.

[illegible]ათლაც, სხვადასხვა მკვლევარნი სხვადასხვა წელს უჩვენებენ [illegible] შეწყვეტაში: ლეუბეა 276 წ., ვახუშტი და დ. ბაქრაძე 317 წ., [illegible]ოისელიანი 318 წ., ი. ტორდანია 323-5 წლ., მ. ჯანაშვილი [illegible] ს. გოგაძე 323 წ., ან. ნატროშვილი 326 წ., ბარონიუსი 327 წ., [illegible] ბოისე 328 წ., ა. ხახანაშვილი 332 წ., ე. თაყაიშვილი 332-3 წ., კ. ცინცაძე 335 წ., ბროს. ივ. ჯავახიშვილი 337 წლის ახლო ხანებს[1].

[illegible]ველ ეკლესია უნდა აღენიშნოთ შენიშვნა: ქართული და [illegible]ბიზანტიური (ეკლესია, რუფინოზი და [illegible] დამოკიდებული სხვა ის[illegible]ორიკოსები) წყაროები ერთხმივ მოწმობენ, რომ ჩირიანის მოქცევის წელს ბიზანტიის იმპერატორად იყო კონსტანტინე დიდი, რომლის საშეფო ტახტი [illegible] კონსტანტინოპოლში (Κωνσταντινούπολις) ეკლესია ცისარიელითა) იყო (მოკიჟულებს იბერები კონსტანტინოპოლის ჭეშმარიტნი და ერქადანვე ილებენ საძღვედელოებასა); კონსტანტინოპოლი სატახტო ქალაქად და ადმინისტრატიულ ცენტრად გაბო-

[1] ქართველ ერის ისტორია I,1-41—151; კონსტანტინე დიდის ეფობისას, 326—337 წლებში, მას იბერიის ეკლესიაც [illegible], [illegible], [illegible] ის პირველ [illegible] [illegible] [illegible].

[2] Rerum gestarum libri qui supersunt, lib. XXI, c. 6, § 7.

[3] ამის შესახებ იხ. ს. ჯორგაძე, საქართველოს ეკლესია და მისი დასაწყისი, [illegible] 1905, IV, 1—24. [illegible]—წერილები საქართველოს ისტორიიდან II, 78.

ცხადდა მას შემდეგ, რაც ის აკურთხეს, ესე იგი 330 წლის [illegible] სიდან [1], ასე რომ არცერთი იმ თარიღთაგანი, რომელნიც 330 წლამდე უჩვენებენ მირიანის მოქცევას, მისალები არაა [2], მაგრამ არც სხვა, 330 წლის შემდეგი, თარიღებია მისალები, ესე იგი, სხვანაირად რომ ვთქვათ, **კონსტანტინე დიდის მეფობაში მირიანის მოქცევას ვერ დავსდებთ.** ებლა კი უძნელესს და ურთულესს პრობლემას მივადექით; ძნელია, გულახდილად ვიტყვით, უარყოფა საუკუნეთა განმავლობაში განმტკიცებულის ქართულ-ბიზანტიური ტრადიციისა, რომ იბერნი კონსტანტინე დიდის მეფობაში მოიქცენ, ძნელია მით უმეტეს, რომ ეს დადასტურებულია კონსტანტინეს ეპოქასთან ახლო მდგომის ისტორიკოსების, ველასი კესარიელის და რუფინოზის, თხზულებებში; არას ვამბობთ ველასი კვიზიკელის შესახებ (მას, როგორც ვთქვით, შეპოუხახავს ველასი კესარიელის ბერძული ტექსტი თავის კომპილაციაში), რომელიც იმასაც კი აღნიშნავს, რომ ბიზანტიის ეპისკოპოზი, რომელმაც აკურთხა პირველი ეპისკოპოზი იბერიისა და სამღვდელოება გაუგზავნა ახლადმოქცეულ ქვეყანას, იყო ალექსანდრე, თანამედროვე სწორედ კონსტანტინე დიდისა (325-340 წლებში). მაგრამ ტრადიციას, თუნდაც განმტკიცებულს და შემდეგდროის მწერალთა მიერ დადასტურებულს, ჩვენ ჭეშმარიტებად ვერ მივიღებთ, თუ მას მხარს არ უჭერს თანამედროვე ისტორიკოსი, რომელიც მას აუცილებლივ უნდა შეხებოდა.

მართლაც, ვის არ გაუგონია ისეთი ღირსშესანიშნავი ისტორიკოსი, როგორიც იყო ევსევი კესარიელი († 340 წ.), რომელმაც სამართლიანად დაიმსახურა სახელწოდება „საეკლესიო ისტორიის მამამთავრისა"? ევსევი დიდად განათლებული კაცი იყო, თანამედროვე და პირადი, მახლობელი მეგობარი კონსტანტინე დიდისა, იმდენად დაახლოებული მასთან, რომ იცოდა ყველა ინტიმური მხარეები მისი ცხოვრებისა. მთავარ წყაროდ კონსტანტინე დიდის ცხოვრებისა და მოღვაწეობისა, განსაკუთრებით საეკლესიო-რელიგიურ სფეროში, ითვლება ევსევის შემდეგი შრომები: 1) „საეკლესიო ისტორია", რომელიც დამთავრებულია 324 წლის დამლევს და 325 წლის დამდეგს; 2) „სიტყვა კონსტანტინეს მეფობის 30

[1] Проф. А. А. Васильев, Лекции по истории Византии I, 60, Петербург 1917.

[2] მით ემეტება მოულებელია 323 წლამდე დათარიღება ამ ფაქტისა, ვინაიდან 323 წლამდე კონსტანტინე იმპერიის დასავლეთ-ნაწილის გამგე იყო, ამიტომ მას აღმოსავლეთიდან ვერ მიმართავდენ.

ნელის თავზე". წარმოთქმული 335 წელს. და 3) „ცხოვრება კონსტანტინესი" (Vita Constantini), რომელიც ოთხი წიგნისაგან შესდგება და დაწერილია კონსტანტინეს გარდაცვალების მეორე (339) წელს. Vita Constantini ალის არა ჰაგიოგრაფიული, არამედ წმიდა ისტორიული ხასიათის შრომა, რომელშიაც არაა დაეწყებული არც ერთი ნაბიჯი კონსტანტინესი, არც ერთი ფაქტი მისი, განსაკუთრებით, საერწმუნოებრივი საქმიანობისა. ავტორის მთავარი მიზანია დაგვანახოს, რა გააკეთა კონსტანტინემ ქრისტიანობის გასაბატონებლად, გასამტკიცებლად და გასავრცელებლად. ის დაწვრილებით აგვიწერს, როგორ უწყობდა კონსტანტინე ხელს ქრისტიანობის ძლევა-მოსილ მსლველობას როგორც მეტროპოლიაში, ისე მის მახლობელსა და შორეულს პროვინციებში, მაგალითად: სირიაში, პალესტინაში, ფინიკიაში, ეგვიპტეში და სხვ. (III. 58. IV. 38, 39). როგორ ზრუნავდა ის მისი ქრისტიანობის დამყარებისა და განმტკიცებისათვის აგრეთვე სხვადასხვა „ბარბაროსთა" შორისაც, განსაკუთრებით სპარსეთში, რომლის მეფეს საპორს ის საგანგებო წერილებსაც კი სწერდა ამ მიზნით (IV. 8. 9) და რომლის ეპისკოპოს ის იერუსალიმის ტაძრის კურთხევაზედაც კი იწვევდა (IV. 43). ამავე დროს ევსევი კონსტანტინეს ~~ალბათ ქართველების შესახებ~~. ის ერთი სიტყვითაც არ იხსენიებს ისეთ საყურადღებო ფაქტს, როგორიც უნდა ყოფილიყო იბერთა მოქცევა. გასაგებია, როდესაც ამის შესახებ ის არას ამბობს „საეკლესიო ისტორიაში": ჯერ ერთი, ის მოყვანილია 312 წლამდე და დაბეჭდილია 324 325 წლებში, როდესაც იბერია ჯერ კიდევ მოქცეული არ იყო. მეორე ამ თხზულებაში ის ეხება ქრისტიანობის ისტორიას უმთავრესად იმპერიის საზღვრებში. გასაგებია აგრეთვე ისიც, რომ ამის შესახებ ის არას ამბობს არც „საგუბილეო სიტყვაში". ეს უკანასკნელი უმთავრესად ლიტურგიკა-პანეგირიკია და ფაქტიურ მასალას იმდენად არ შეიცავს. მაგრამ სირუმე მისი „კონსტანტინეს ცხოვრებაში" ბნიშვნელოვანია. იქნება მან არ იცოდა იბერია და არც მისი მოქცევის შესახებ გაუგონია რა? იბერებს, როგორც ერს, ევსევი კარგად იცნობს [1]. დაუჯერებელია. მას არ სცოდნოდა ფაქტი მათი გაქრისტიანებისა: ადამიანმა, რომელსაც კონსტანტინე, წარმოიდგინეთ, თავის სიხმრებსაც კი უყვებოდა, რომელსაც ისიც კი არ გამოპარვია, თუ როგორ ილოცა იმპერატორი „ბარბაროსების" მიერ გამოგზავნილ მოციქულებსა

[1] Πατριαρχικ. Βιβλιοθ. IX, 41,: Chronica. edit. A. Schoene I. 186, II. 163.

და სახელოვნებს (IV. 7), არ იყოდა ისეთი ლირსშესანიშნავი ფაქტი, როგორიც იყო მთელი ქვეყნის გაქრისტიანება კონსტანტინეს პირადი მონაწილეობით. კონსტანტინესთან ამის გამო მოციქულების მოსლვა ახლადმოქცეული ქვეყნიდან და მის მიერ იქ სამღვდელოების გაგზავნა?! ეს შეუძლებელია! მართალია, silentium ყოველთვის არ არის argumentum. მაგრამ ამ შემთხვევაში ამას ვერ ვიტყვით: ისტორიკოსს საგანგებო მიზნად დაუსახავს აღეწერა, თუ როგორ ავრცელებდა კონსტანტინე ქრისტიანობას მთელს მსოფლიოში, ამაზე აშენებს და ამყარებს ის სიდიადეს მისი ღვაწლისა და პიროვნებისას, ამისთვის ზოგიერთს რასმეში აჭარბებს კიდეეაც[1]. და ამავე დროს სდუმს მისი მონაწილეობით ისეთი ქვეყნის მოქცევაზე, რომელსაც უდიდესი მნიშვნელობა ჰქონდა მის აღმოსავლურს პოლიტიკაში. ეს სულ სხვა რამეს ნიშნავს, სახელდობრ იმას, რომ კონსტანტინეს დროს არ მომხდარა იბერთა და მათი მეფის მოქცევა. შეიძლება ამით აიხსნებოდეს ის მოვლენა, რომ აღმოსავლეთ-საქართველოში ჩვენ ვერ ვპოულობთ კონსტანტინე დიდის საგანგებო კულტს. წარმოიდგინეთ ისეთსაც კი, როგორიც არის დასავლეთ-საქართველოში, სადაც ეკლესიებში ხშირად შეხვდებით კონსტანტინესა და ელენეს გამოხატულებას[2]. ერთი სიტყვით, კონსტანტინე დიდის მეფობაში იბერია არ მოქცეულა, მაშ როდის მოიქცა ის?

აქ საჭიროა მოვახდინოთ ანალიზი ერთი ისტორიული ფაქტისა, რომელიც გაგვირკვევს არამცთუ ეპოქას, არამედ წელიწადსაც იბერიის მოქცევისას; ჩვენ ვეგულისხმობთ ეთიოპიელთა ან ჰაბაშთა ან, როგორც ძველს ძეგლებშია, „ეშინაგანესთა ჰინდოთა" (India ulterior)[3] მოქცევას. ეს საკითხი უკანასკნელ დროამდე უფრო მეტი სიბნელით იყო მოცული, ვიდრე იბერიის მოქცევა. ეთიოპიელ-

[1] მართალია, მიუხედავად იმისა, რომ ცნობილმა მოამბეებმა თითქოს საბოლოო რეაბილიტაცია ეყო ამ თხზულებას, არ შეიძლება იმისი უარყოფა, რომ Vita Constantini-ში ეტყვილი იქნა ტენდენციის, რომელიც ვამოხატავს სურვილში განდიდებულ იქნეს კონსტანტინეს ღვაწლი ქრისტიანობის სფეროში: მაგრამ ეს ტენდენცია ოდნავადაც არ შეარყევს ამ თხზულების მნიშვნელობას ჩვენი საკითხისათვის: ადამიანი, რომელიც ხელმძღვანელობდა ასეთი ტენდენციით, თუ პირდაპირ არ მოიგონებდა და არ შესთხზავდა საჭირო ფაქტებს, ყველა შემთხვევაში ნამდვილ ფაქტს არ დაშალავდა.

[2] Муравьев, Грузия и Армения II, 270. ეკლესიაში მოსეურებელია დასავლეთ-საქართველოს ქრისტიანობის საბერძნეთიდან წარმოშობილობისა და იბერიული ქრისტიანული ტრადიციების დიდი ხნის განმავლობაში ფატონობისა.

[3] ბრონოლრადი ბერძენი მონაზონისა, ს. ყანუხიშვილის გამოცემა, ვვ. 262.

ია მოქცევის პირველწყაროდ. ოდგან იბერთა მოქცევისა [illegible]
ლებოდა იგივე რუფინოზი, რომელიც თავისი „ისტორიის" [illegible]
ვნის მეცხრე და მეათე თავში გადმოგვცემს ეთიოპიის მოქცევის ამ-
ბავს. ხოლო მეთერთმეტე თავში იბერიის მოქცევისას. მაგრამ. ოდ-
ვორც A. Glaseბა დაამტკიცა[1]. აქაც პირველწყაროდ იგივე გელ-
ასი კესარიელი უნდა ჩაითვალოს. რუფინოზს მხოლოდ უთარ-
გმნია მისი ბოთხრობა ლათინურად. ჩონჩხი ამ მოთხრობისა ასეთია:

ქ. ტვიროსის ერთერთ ფილოსოფოსს, მეროპის, გამოჩენი-
ლის მოგზაურის მიტროდორეს მიბაძვით, დაუწყია მგზავრობა და
თან წაუყვანია ორი თავისი პატარა ძმისშვილი: ედესი და ფრუმე-
ნტი. მოგზაურები გადმოვიდენ ეთიოპიის ტერიტორიაზე. აქ მათ
თავს დაესხენ ადგილობრივი მცხოვრებნი, მეროპი მოკლეს, ხოლო
ბავშვები მიჰგვარეს თავიანთ მეფეს. ფრუმენტი შეიქნა უსაყვარელე-
სი მონა მეფისა და იმდენად დაიმსახურა მისი ნდობა, რომ ბოლოს
მინისტრობაც კი მიიღო. მეფის გარდაცვალების შემდეგ ქვრივმა
დედოფალმა მას ჩააბარა, ტახტის მემკვიდრის მცირეწლოვანობის გა-
მო, სახელმწიფოს მართვა-გამგებლობა. როდესაც მეფე სრულწლოვანი
შეიქნა, ედესიმ და ფრუმენტიმ გამოითხოვეს ნებართვა საშობლოში
დაბრუნებისა. ედესი მართლაც წავიდა ქ. ტვიროსში, სადაც მღვდლო-
ბის პატივი მიიღო (მას გადაუცია გელასისათვის ეს ამბავი), ხოლო
ფრუმენტი გაემგზავრა ქ. ალექსანდრიაში, სადაც ისიციოს (nuper)
ეპისკოპოსად დაედგინათ ათანასე დიდი, რომელსაც მან აუწყა,
რომ ეთიოპიელები მომზადებულნი არიან ქრისტიანობის მისაღებად,
საჭიროა მხოლოდ სამღვდელოება იქნეს გაგზავნილი; ათანასემ ეპის-
კოპოსად აკურთხა თვით ფრუმენტი, რომელმაც მართლაც მონათლა
ეთიოპიელები.

ეთიოპიაში განმტკიცებულა ტრადიცია, ხოლო სამეცნიერო ლი-
ტერატურაში რწმენა, რომ ეთიოპიის მოქცევა კონსტანტინე დიდის
დროს მოხდა. თუმცა ეკანასკნელის სახელი ამ ისტორიაში ერთხე-
ლაც ალაა მოხსენებული. ეს ტრადიციული რწმენა შეარყია ნიკიერ-
მა რუსმა ისტორიკოსმა, პროფ. ე. ბოლოტოვმა, რომელმაც
დაამტკიცა, რომ ეთიოპიის მოქცევას კონსტანტინეს შემდეგ ექონდა
ადგილი ². ჰიერონიმეს „ქრონიკის" დამბმარებით პროფ. ბო-
ლოტოვმა გაარკვია, რომ მიტროდორეს მოგზაურობას, რომელიც
მისაბაძი გახდა მერე მეროპისათვის და რომელმაც თავისი შემდეგე-

[1] Die Kirchengeschichte des Gelasios von Kaisareia.

[2] Лекции по истории древней церкви II, 265—277.

ბით გაძლიერდა ბიზანტიელების და სპარსელების ომი 338 წლიდან, ადგილი ჰქონდა 334 წლის ახლო ხანებში: მაშასადამე, [illegible] ეს ეს ერ ხანებში გაეგზავნებოდა თავისი ძმისშვილებით. აქედან ცხადია, რომ ეთიოპიელები კონსტანტინე დიდის დროს ვერ მოიქცეოდნენ. ეს კი ჩვენი საკითხისათვისაც მეტად მნიშვნელოვანია. გელასი კესარიელი და რუფინოზი იბერიის მოქცევას ქრონოლოგიურად უკავშირებენ ეთიოპიის მოქცევას: ისინი ჯერ მოგვითხრობენ ეთიოპიის მოქცევას და მას თან მიაყოლებენ იბერიის მოქცევის ამბავს შემდეგი სიტყვებით: ἅμα δὲ τῷ χρόνῳ per idem tempus. რაც ნიშნავს: ამავე ხანებში, ამავე დროს. ესე იგი ეთიოპიის და იბერიის მოქცევა დაახლოებით ერთსადაიმავე დროს მოხდაო [1]. აქედან ცხადია, თუ ეთიოპია არ მოქცეულა კონსტანტინეს დროს, არც იბერია უნდა მოქცეულიყოს მის დროს. როდის მოიქცა ეთიოპია?

როდესაც ფრუმენტი ეთიოპიის მეფეს მიჰგვარეს, 334 წლის ახლო ხანებში, მაშინ ის 15-მდე წლის ბავშვი იყო [2], ეთიოპიაში ის უნდა დარჩენილიყოს ათანაელებ 20 წლისა, ეინაიდან ეპისკოპოსად კურთხევისათვის საჭირო იყო, საეკლესიო კანონებით, 35 წლის ასაკი. მაშასადამე, ის ათანასესგან ხელდასხმას მიიღებდა არაუადრეს 355 წლისა, კონსტანტი იმპერატორის დროს.

მართლაც, 357 წლის 24 თებერვლის ახლოხანებში კონსტანტი იმპერატორი სწერს, როგორც ათანასეს ა პ ო ლ ო გ ი დ ა ნ ა ჩანს, ეთიოპიის მეფეებს 'Αζανᾷ καὶ Σαζανᾷ-ს: „ფრუმენტი ეპისკოპოსი, თუ შეიძლება, ჩქარა გამოუგზავნეთ ეგვიპტეში ალექსანდრიის ეპისკოპოზს გიორგის, რომელსაც აქვს უფლება ხელდასხმისა და სალვთისმეტყველო საკითხების გადაწყვეტისა. თქვენ იცით, რომ ფრუმენტი ეპისკოპოსად ნაკურთხია ათანასეს მიერ, რომელსაც ბრალი მიუძღვის უამრავ ბოროტმოქმედებაში, ის ეხლა უგზო-უკვლოდ დაწანწალობს და სადღაც იმალება: გაფრთხილდით, რომ ის არ შემოიპაროს თქვენს ქვეყანაში და მანდაც არ ასტეხოს აყალ-მაყალი". ეს წერილი გაბოროტებული იყო იმით, რომ ათანასეს და კონსტანტი კეისარს შორის მტრული განწყობილება

[1] საყურადღებოა, რომ ამ ორ ფაქტს თითქოს „მოქცევაჲ ქართლისაჲ"-ს ავტორიც აკავშირებს, როდესაც ქართველთა მოქცევის ამბავს წინ ეძღვარებს ცნობას ივის შესახებ, რომ „ქრისტიანენი იგი ჰრომნი და ყოველნი ი ი ნ ო ნ ი ძალითა ჯუარისაჲთა სოლეულ მტრეულსა" (К. Такайшвили, Описание II, 710).

[2] Н. Болотов, ibid.

ჩანს, ალბათ, საეწმუნიელოს ნიადაგზე. კონსტანტი იყო [illegible] მოიბრე, რომელიც თავგამოდებით ებრძოდა ათანასე დიდი. 353 წლის მაისიდან კონსტანტი უკვე აღარ ცალავდა თავის უკმაყოფილებას ათანასესადმი, ხოლო 355 წლის სექტემბერში მან ალექსანდრიაში გაგზავნა ნოტარი დიოგენი მის შესაპყრობად. მაგრამ მას ხალხმა წინააღმდეგობა გაუწია და უკან გააბრუნა. 356 წლის თებერვლამდე ათანასე კიდევ ალექსანდრიაში იყო. მერე კი იძულებული შეიქნა არალეგალურ მდგომარეობაზე გადასულიყო და ეგვიპტის სხვადასხვა შორეულ კუთხეებში და მონასტრებში იმალებოდა. აი სწორედ ამ დროს, ესე იგი 355 წლის სექტემბრიდან 356 წლის თებერვლამდე, როდესაც მას კონსტანტი ალექსანდრიის ეპისკოპოსად აღარ სთვლიდა უკვე, უნდა ეკურთხებინოს ათანასეს ფრუმენტი ეთიოპიის ეპისკოპოსად. ამით აიხსნება, რომ კონსტანტი თავის წერილში არ სცნობს ათანასეს მიერ შესრულებულ ქიროტონიას: გიორგის, ალექსანდრიის ახალ ეპისკოპოზს, გამოუგზავნეთ ფრუმენტი, მხოლოდ მას აქვს უფლება ხელდასხმისაო. სწერს ის მეფეებს. გაფრთხილებაც მისი სწორედ იმ მოსაზრებითაა ნაკარნახევი, რომ ათანასეს შეეძლო თავი შეეფარებინა ფრუმენტი ეპისკოპოზთან ეთიოპიაში, როგორც მის მიერ ხელდასხმულთან.

ამნაირად, პროფ. ვ. ბოლოტოვმა თითქმის მათემატიკურად დაამტკიცა, რომ ფრუმენტის ეპისკოპოსად კურთხევა მოხდა 355 წლის სექტემბრიდან 356 წლის თებერვლამდე: მას მხოლოდ აწუხებდა რუფინოზის ცნობა, რომ, როდესაც ფრუმენტი ათანასესთან მოვიდა ალექსანდრიაში, უკანასკნელი იმხანად, ისიც იყო (nuper) დაედგინათ ალექსანდრიის ეპისკოპოსად, ეს კი ჰგულისხმობდა 328 წ. 8 ივნისის ახლო ხანებს. მაგრამ ბოლოტოვის გარდაცვალების შემდეგ გამოგზავნდა A. Glas-ის შრომიდან, რომ ეს საეჭვალო nuper რუფინოზს ჩაუმატებია თავის თარგმანში, ის არ ყოფილა მის დედანში, გელასი კესარიელის ტექსტში, რასაც ამტკიცებს გელასი კვიზიკელის კომპილაცია და თეოდორიტე კვირელის „ისტორია". რომელიც აგრეთვე პირდაპირ გელასი კესარიელის შრომაზეა დაფუძნებული. პირველი ამბობს: [illegible], ხოლო მეორე: 'Αθανάσιος δὲ τυγκάνει τῆς ἐκκλησίας ἐκείνης κατείχε τὸν θρόνον'. ამნაირად, თუ ეთიოპია და იბერია ერთსადაიმავე დროს მოიქცენ, ეთიოპიის მოქცევას კი ადგილი ჰქონდა 355-356 წლებში, ამავე წლებში უნდა მოქცეულიყო იბერიაც.

[1] Die Kirchengeschichte des Gelasios von Kaisareia... S. 17 Anm. 2.

ამ შემთხვევაში გადამწყვეტი როლი, ალბათ, ითამაშა ეროვნულ-ეკლესიელ ქართლის, ან გოგარენე-გუგარქის, საბოლოოდ შეერთებამ, თუ სპორადიულად და კატეკუმენად ვუგარქიდან ქრისტიანობა მანამდისაც შემოდიოდა იბერიაში, 349 წლიდან, როდესაც მას შეეერთდა ეს ვეებერთელა ფენომენი, რომელსაც, მეტი თუ არა, 50 წლის ქრისტიანული ისტორია ჰქონდა, იბერიის ქრისტიანიზაციის ლოლიკური აუცილებლობით უნდა მომხდარიყო: დრომოჭმულსა და გამოფიტულ წარმართობას ამ „ბარბაროსული" ქვეყნისას აღარ შეეძლო მეტოქეობა გაეწია ნორჩისა და ძლავრი ქრისტიანული კულტურისა-თვის, ამიტომ 355-356 წლებში მან საბოლოოდ დაუთმო ადგილი უკანასკნელს.

XIII

როდესაც ამას ვამბობთ, ყურადღება უნდა მივაქციოთ ერთ ფაქტს, რომელსაც თავისთავად, განცალკევებით, გარდამწყვეტი მნიშვნელობა არ აქვს, მაგრამ, სხვა მოსაზრებებთან ერთად, საკმაო საბუთიანობას აძლევს იბერიის მოქცევის დათარიღებას 355-6 წლებით. საქმე ისაა, რომ, როგორც გელასი კესარიელი, ოუფინოზი და სხვა ბიზანტიელი ისტორიკოსები, ისე მოსე ხორენელი და ადგილობრივი ქართული წყაროები, ერთხმივ გადმოგვცემენ, რომ იბერთა მეფის მოქცევის უახლოესი საბაბი იყო მზის დაბნელება ნადირობის დროს მცხეთა-კასპის რაიონში „თხოთის" ზეთაზე. ცხადია, იმ ადამიანზე, ოომლის გული უკვე განმზადებული იყო ახალი მოძღვრების მისაღებად, ისეთს ბუნებრივს მოელენას, როგორიცაა მზის დაბნელება, შეეძლო არაჩვეულებრივი შთაბეჭდილება მოეხდინა და მის თვალში ბუნებრივობის ხასიათი დაეკარგა. მაგრამ საკითხავია, მართლა ჰქონდა ამ შემთხვევაში მზის დაბნელებას ადგილი?

ასტრონომიული ქრონოლოგია, რომლის საგანია მზისა და მთვარის დაბნელების გამოანგარიშება, დადებითს პასუხს გვაძლევს ამაზე. Oppolzerის შესანიშნავი „კანონებიდან" ვტყობილობთ, რომ მეოთხე საუკუნეში რაოდენჯერმე ჰქონია ადგილი მზის დაბნელებას, რომელიც მცხეთა-კასპის რაიონზე ვრცელდებოდა: 1) 319 წლის 6 მაისს, საღამოს 6½ საათზე, 2) 346 წლის 6 ივნისს, დილის 8 საათზე, 3) 348 წლის 9 ოქტომბერს დილის 11 საათზე.

ჩვენ არ გვეეჭვება, რომ იმ პირთათვის, რომელთაც მირიანის მოქცევა მზის დაბნელებას დაუკავშირეს თავდაპირველად, აღნიშნული დაბნელებანიც, განსაკუთრებით ორი უკანასკნელი, 346 და 348

წლებისა. ვაბოსაყენებელი იქნებოდა, იმდენად დაახლოებულ-ია ორიან ისინი 355-6 წლებთან. მაგრამ აბეჭდნიეროდ ასეთი დაახ-ლოებაც არ აოის საკმარო: მზის დაბნელებას, რომელიც მცხეთა-კასპის რაიონზე ვრცელდებოდა, ადგილი ჰქონია აგრეთვე თვით ამ ხანებში, სახელდობრ 355 წლის 28 მაისს-ის დაწყებულა 6', ს. დილით, მაქსიმალურად განვითარებულა (დაფარულა ³/₄ მზის დის-კოისა) 7 საათზე, ხოლო დასრულებულა 8 საათზე[1].

საკმე ასე უნდა წარმოვიდგინოთ: 355 წლის გაზაფხულზე მო-ქცეულა მირიანი და მასთან მისი ოჯახი და ალბათ ერის ნაწილიც: როგორც ვიცით, მეფეს გაუგზავნია მოციქულები კონსტანტინოპოლში და გამოუთხოვია სამღვდელოება ახალმოქცეულთა მოსანათლავად და სამლოცველო სახლების საკურთხებლად. მოციქულების გამგზავრე-ბა-მობრუნებას და სამღვდელოების მოსლვას ერთი წელიწადი მაინც მოუნდებოდა, ასე რომ ახალმოქცეულთა მონათლვა უნდა მომხდა-რიყოს 356 წლის ზაფხულზე[2]. მაშასადამე, ეთიოპია მოქცეულა 355 წლის სექტემბრიდან 356 წლის თებერვლამდე, იბერია კი 355 წლის გაზაფხულიდან 356 წლის ზაფხულამდე. ესე იგი ეს ორი ფაქტი მართლაც ერთსადაიმავე დროს მომხდარა.

აშნაირად, იბერია გაქრისტიანებულა 355-356 წლებში, იმპე-რატორის კონსტანტის დროს. ასეთ დათარიღებას მხარს უჭერს ითქმის „მოქცევაჲ ქართლისაჲ“ ერთი. შეიძლება უნებლიეთ მას-ში შენარჩუნებული. მონაცემი; სახელდობრ, აქ ნათქვამია, რომ ნინო გარდაიცვალა „ქართლად მოსლვითგან მეათხუთმეტესა წელსა და ქრისტეს აღმაღლებითგან სამას ოცდაათურამეტსა წელსა“[3]. თუ ფრა-ზას „ქრისტეს აღმაღლებითგან“ მისი ნამდვილი მნიშვნელობით გავი-გებთ, ხოლო „ქართლად მოსლვაში“ მის მოქცევას ვიგულისხმებთ, ნინოს გარდაცვალება მოვა 33+338=371 წელს. თუ ნინო გარდა-

[1] Oppolzer. Canon der Finsternisse: Denkschriften der Kaiserlichen Akademie der Wissenschaften, B. LII, Wien 1887. აღნიშნულ დაბნელებათა გამოანგარიშება, Oppolzer-ის კანონების მიხედვით, ეკუთვნის ტფილისის ფი-ზიკური ობსერვატორიის და უნივერსიტეტის ასტრონომიის კათედრის ასისტენტს ე. ჩ ა ვ ს ს, რომელსაც ამისათვის მადლობასა ვსწირავთ.

[2] თუ მირიანს მოქცევად ჩვენ ვიგულისხმებთ მის მონათლას და არა ნა-დირობის დროს მოქცევას, რასაც ადგილი ჰქონდა „თორესა იულისსა კ. დღესა შაბათსა“ (Описание II, 772), ეს უკანასკნელი დათარიღებაც სწორი გამოვა, ეს-ნაიდან 20 ივლისი შაბათ დღეს სწორედ 355 წელს მოდიოდა.

[3] Такайшвили, Описание II, 714.

იცვალა ქართლად ძოლვითგან 1=ქართლის მოქცევიდგან) მეფეთა
ნი წელს. გამოდის ქართლი ამას შოუქცევია 37: 15=350 [illegible]

XIV

ეხლა იბადება ასეთი საკითხი: როგორ შეხდა. რომ ფაქტი. რომელსაც ადგილი ჰქონდა კონსტანტი კეისრის დროს. გადაუტანიათ მისი შაშის კონსტანტინე დიდის მეფობაში? როგორ მოხდა. რომ ეს ფაქტი დაათარიღეს არა მარტო კონსტანტინე დიდის სახელით. არამედ მისი თანამედროვე ბიზანტიის ეპისკოპოზის ალექსანდრეს სახელითაც?

ალექსანდრე ეპისკოპოზის სახელი მოხსენებული აქვს ჯოლოდ გელასი კვიზიკელს თავის კომპილაციაში. რუფინოზი მას არ ასახელებს. აქედან სამი შესაძლებლობა გვაქვს: 1) რუფინოზმა განგებ გამოუშვა ეს სახელი თავის თარგმანში, 2) გელასი კვიზიკელმა სხვა წყაროდან შეიტანა ის თავის კომპილაციაში[1]. 3) ის არ იყო არც რუფინოზის დედანში. გელასი კესარიელის ტექსტში. მაგრამ რუფინოზი საკუთარ სახელებს არ უშვებს თავის თარგმანში, გელასი კვიზიკელს სხვა წყაროებიდან არ შეეძლო შეეტანა ეს სახელი, ვინაიდან არცერთს სხვა ისტორიკოსს (სოკრატე, სოზომენი, თეოდორიტე) ის არ მოეპოვება, მაშასადამე დაგვრჩა ბესამე შესაძლებლობა: ეს სახელი არ ყოფილა რუფინოზის დედანში. გელასი კესარიელის ტექსტში. ეს რომ ასეა, იქიდანაც ჩანს. რომ ეს სახელი არ აქვს აღნიშნული არც თეოდორიტე კვირელს. რომელსაც, როგორც რუფინოზს. ხელთა ჰქონია უშუალოდ გელასი კესარიელის შრომა. მაგ. როგორ გაჩნდა ის გელასი კვიზიკელის კომპილაციაში? სულ უბრალოდ: გელასი დარწმუნებული იყო. რომ იბერთა მოქცევა კონსტანტინე დიდის დროს შეხდა. როდესაც ბიზანტიის ეპისკოპოსად ალექსანდრე იყო. ამიტომ გელასი კესარიელის ფრაზაში: კონსტანტინემ „კონსტანტინოპოლის ეპისკოპოზს ხელთდაასხმევინა იბერთა ეპისკოპოზი“. ჩაუშალა სახელი ალექსანდრე და მიიღო: [illegible]

უფრო გაუგებარია კონსტანტინე დიდის სახელის გაჩენა ამ ისტორიაში. თუმცა შეუძლებელი არც ამისი ახსნაა. ყურადღება ეხდა

[1] ასე ფიქრობს A. G i a n n. Die Kirchengeschichte des Gelasios von Kaisareia. .82

მიეცემოთ შემდეგი კონსტრუქციებს: სახელის Κωνσταντίνος-ის ქართულ ᲙᲝᲜᲡᲢᲐᲜᲢᲘᲜᲔ-ად შედეგია ან

1) **კონფიგურაციული მოსაზრებისა:** კონსტანტინე ეპისკოპოსი იყო არიანული, რომელიც მარცხადიდებლობას და მისი საშლელებას ულმობელად ავიწროებდა და სდევნიდა. ამის გამო მარცხმადიდებლებს ის ძალზედ ეჯავრებოდათ. ულტრამარცხმადიდებელმა გელასიმ ანდა მისი შრომის გადამწერმა შეუძლებლად დაინახა მიეწერა არიანული მეფისათვის ისეთი დიდი საქმე, როგორიცაა ეთელი ერის მოქცევა. და აქედან ეს ფაქტი მიაწერა მის დიდ შვილს კონსტანტინეს, რომელიც საყოველთაოდ ცნობილი იყო ქრისტიანობის გავრცელებისა და დამკვიდრების საქმეში.

2) **უნებლიეთი შეცთომისა.** რომელიც სამი გზით შეიძლებოდა დაშვებული ყოფილიყო: ა) Κωνσταντίνος ბერძნულად ხშირად იწერებოდა და გაშლილქმეობდა როგორც Κωνσταντίνος[1]. ამიტომ გადაწერის დროს ის ადვილად იქცეოდა Κωνσταντίνος-ად. ბ) შესაძლებელია სახელი Κωνσταντίνος დაწერილი იყო შემოკლებით Κωνσταντ (ამგვარი შემოკლების შესაძლებლობა დამიდასტურა პროფ. გ ო ი გ წ ე რ ე თ ე ლ მ ა). აქედან კი თვითეული წამკითხველის და გადამწერის უნარზე და ცოდნაზე იყო დამოკიდებული როგორ დაასრულებდა ამ სახელს: ბიუზანტებდა მას ᲙᲝᲜᲡᲢᲐᲜᲢᲘᲜᲔ თუ ᲙᲝᲜᲡᲢᲐᲜᲢᲘᲝᲡ. გ) წმიდა რომაული სახელები, Constantinus და Constantius, რომელნიც თვით რომაელებსაც კი ერეოდათ ერთმანეთში, უფრო მეტად აერეოდათ ბერძნებს. და, რასაკვირველია, გაკილებით მეტად ისეთს შორეულს „ბარბაროსებს", როგორიც იყვნენ იბერები. ასე რომ გელასი კესარიელის მოსაუბრე ბ ა კ ო ს ი. შეიძლება, ვერც კი არჩევდა მათ და ერთის მაგიერ მეორეს ამბობდა; ისიც დასაშვებია, რომ მან იხმარა Κωνσταντίνος. მაგრამ ისე ბარბაროსულად გამოთქვა ის, რომ გელასის Κωνσταντίνος-ად მოესმა.

3) **ონომასტიკური მოვლენებისა:** ბერძნულიდან ნათარგმნს ძეგლებში Κωνσταντίνος-ის ნაცვლად ხშირად იხმარება Κωνσταντίνος, რაც იმის მოწმეს წარმოადგენს, რომ ბერძნულს დედანშიაც ეს ასე იყო. მაგალითად, გ ი ო რ გ ი მ ო ნ ა ზ ო ნ ი ს „ხრონოლოგიის" ძველ სლავურ-რუსულ თარგმანში ვკითხულობთ: по Деклитьянѣ царствова Костянтинъ Зеленый (= კონსტანტინე ხლორი), великаго Костянтина

[1] F. Preisigke. Namenbuch enthaltend alle griechischen Menschennamen, S. 190, Heidelberg 1922. W. Pape, Wörterbuch der griechischen Eigennamen I. 752, 1884.

отець. По Константинѣ Зеленѣмъ крестился сынъ его Костянтинъ отъ Силиаьстра"[1]. „По Костянтинѣ (=დიდი) же царствова Костянтинъ (=კონსტანტი), сынъ его"[2]. „Знаменье крестное явися на небеси отъ святого лобнаго мѣста даже и до горы Елеоньскыя пресвѣтло, грамоту же послеть ради къ Костянтину царю (=კონსტანტი) Кириллъ Иерусалимский епископъ"[3]. „По Костянтинѣ (=კონსტანტი) царствова Оульянъ преступникъ"[4] ასევეა ქართულ ძეგლებშიაც: ბაგალითად ზემოდასახელებული „გრამოტა" კირილე იერუსალიმელისა მერვე საუკუნის „იერუსალიმის განჩინებაში" წარწერილია: „ეპისტოლჱ კჳრილე ებისკოპოსისაჲ. რომელი მიუწერა მეფესა კონსტანტინეს, ჯუარისათჳს". რომელი გამოჩნდა ცასა შინა 352 წელსა". და იწყება ასე: „მეფესა ღმერთისმოუყარესა და ღმერთისმსახურსა კონსტანტინეს"[5]. ამ მოვლენას ჩვენ ვხედავთ აგრეთვე სომხურს ძეგლებში, სადაც კირილე იერუსალიმელის ეპისტოლეში ადრესატს კონსტანტის მაგიერ ეწოდება კონსტანტინე[7]. და გუთურს კალენდარში (მეხუთე საუკუნის დასაწყისის). სადაც 3 ნოემბერს კონსტანტის მაგიერ სწერია კონსტანტინე[8]. ლათინურს ისტორიოგრაფიაშიც ყოფილა ასეთი შეეთხვევა. როდესაც ეს ორი სახელი ერთიმეორის მაგიერაა ნახმარი". საყურადღებოა აქ, რომ თვით გელასი კესარიელის და მისი ბიძის, კირილე იერუსალიმელის, დროსაა აღნიშნული ასეთი ონომასტიკური მოვლენა. ორიგინალურს ქართულს თხზულებაში, რომელსაც „მოქცევაჲ ქართლისაჲ". ეწოდება, ვკითხულობთ: „ფრიად ეოდეს კონსტანტინეს" მტერნი. იგულისხმება კონსტანტინე დიდი, რის გამო, განაგრძობს ავტორი, „გულგდებულ იყო უფლისაგან კოსტანტი კესარი[10].

[1] Акад. В. М. Истрин. Хроника Георгия Амартола в древнем славяно-русском переводе, I, 13, 1920 г. Петроград.

[2] Ibid. стр. 357.

[3] Ibid. стр. 358.

[4] Ibid. стр. 360.

[5] К. Кекелидзе, Иерусалимский Канонарь VII века, стр. 112, 249—250.

[6] სიძველეთა მუზეუმის ხელნაწერი № 1841, გვ. 180.

[7] Conybeare, Rituale Armenorum, Oxford, 1905, p. 523.

[8] Проф. В. Болотов, Следы древних месяцесловов поместных церквей: *Христ. Чтение* 1888 г., Январь-Февраль, стр. 199-200. ცალკე ბეჭდვა, გვ. 88-91.

[9] Pauly-Wissowa, Real-Encyclopädie IV, col. 1043.

[10] Е. Такайшвили. Описание II, стр. 710.

იგულისხმება იგივე კონსტანტინე: მაშასადამე, აქაც კონსტანტინეს და კონსტანტი ერთისადაიმავე პირის აღმნიშვნელადაა ნახმარი.

ამნაირად, ჩვენ ვაჩვენეთ რამდენიმე შესაძლებლობა Κωνσταντινος-ის Κωνσταντινος-ად ქცევისა: ყველაზე უფრო მისაღებად ჩვენ პირადად მიგვაჩნია უკანასკნელი, ონომასტიკურ მოელენებზე დამყარებული.

XV

ეხლა ორიოდე სიტყვა იმ მისიონერი ქალის შესახებ, რომელმაც ხელი შეუწყო მირიან მეფისა და იბერთა მოქცევას და რომელსაც გელათი კესარიელი (აგრეთვე მისგან მომდინარე ბიზანტიელი ისტორიკოსები) და ქართული წყაროები ტყვეს უწოდებენ.

მიუღებელი და დაუჯერებელია ის ლეგენდაოული დეტალები მისი ვინაობისა, რომელთაც ვეჰოულობთ ჩვენს უძველეს წყაროებში[1]: ეს ქალი არც დიდიკაცის შვილი და პატრიარქის დისშვილი ყოფილა, არც იერუსალიმში დაბადებულა და აღზრდილა და არც კონსტანტინოპოლიდან თუ რომიდან მოსულა ჩვენში. ის არ ყოფილა არც ბერძენი და, მით უმეტეს, არც სომეხი[2], არამედ ქართველი. თუმცა ჰაგიოგრაფი ტენდენციურად უარყოფს ამას[3]. მისი ქადაგება ისე მალე ვერ გამოიღებდა ნაყოფს „ბარბაროსთა" შორის, თუ მას ამ ბარბაროსთა ენა არ სცოდნოდა. ის იყო ქართველი, მაგრამ არა კაპადოკიიდან, როგორც ჩვენი წყარო გადმოგვცემს[4]. მეოთხე საუკუნეში ქრისტეს შემდეგ კაპადოკიაში ქართველი მოსახლეობა უკვე ალარ არსებობდა, არამედ გუგარქელი. ამით აიხსნება, რომ ეს დედაკაცი, ლეგენდით, ჩვენში შემოდის ჯავახეთიდან[5] და სომხურსაც ლაპარაკობს: გუგარქელ ქართველებს, თავის საშობლო ენასთან, სომხურიც ეკოდინებოდათ, ვინაიდან ამ მხარეში, მათ მეზობლად, სომხებიც ცხოვრობდენ.

მისაღებია ქართულ-ბიზანტიური წყაროების შეთანხმებული ცნობა, რომ ეს ქალი ტყვე იყო: მეოთხე საუკუნეში იბერებს, ალბათ, ხშირად უხდებოდათ სომხებთან შეტაკება, თუგინდ თვით გუ-

[1] პროფ. ივ. ჯავახიშვილი. წმ. ნინოს და ებდოია მოციქულის მოღვაწეობა საქართველოში. ჟურნალი მოამბე 1900 წ. V—VI.

[2] Aur. Palmieri, La Chiesa Georgiana e le sue origini. Roma 1901, p. 48.

[3] Е. Такайшвили. Описание II, 748

[4] Ibid. 737.

[5] Ibid. 748.

გარქის საკითხის გამო. ეროვნული ასეთი შეტაკების

[illegible] [illegible] [illegible] [

ნინა-ნინას შესახებ ორგვარი შეხედულება არსებობს: ერთი შეხედულებით ნინა-ნინო არის ქართულად გადმოკეთებული [illegible] კეთილი სახელი ნონნა, რომელიც კაპადოკიაში იყო გავრცელებული: მაგრამ, თუ ნინოს ვერ დაუკავშირებთ ჩვენ კაპადოკიას, როგორც ხემოთ იყო შენიშნული, ვერც კაპადოკიურ სახელს მივაკუთვნებთ მას. მეორე შეხედულებით ნინა-ნინო არის ლათინთა საზოგადო სახელი **nonna**, რაც მონაზონს ნიშნავს[1]. მაგრამ ასეთი შეხედულება, რომელიც ჯერ კიდევ პროფ. ბოლოტოვს მიაჩნდა შეუწყნარებლად[2], მით უფრო მიუღებელია: საქმე ისაა, რომ ტყვე-ქალი, მართლაც რომ მონაზონი ყოფილიყო ის, იმდენად დაშორებული იყო დასავლეთ-საქრისტიანოს, რომ ასეთს ლათინურ სახელწოდებას ვერ მიიღებდა. ჩვენ გვგონია, რომ სახელი ნინა-ნინო გადმოღებულია საწარმართო ელიგიური ონომასტიკონიდან. სომეხ ისტორიკოსთა ცნობით (ალათანგელოსი), სომხები თაყვანსა სცემდენ ეროს ქალ-ღმერთს, რომელსაც ისინი ნანე-ს უწოდებდენ და რომელსაც „არმაზის ასულად" სთვლიდენ[3]. ეექველია, ამ ნანეს იბერებიც ეცნობდენ და ამიტომ მათ შეეძლოთ მისი სახელი დაეკავშირებინათ ტყვე-ქალის სახელთან: ეს მით უფრო დასაჯერებელია, რომ, ჰაგიოგრაფის გადმოცემით, მირიანი პირდაპირ ეკითხებოდა ქალს: „ანუ ხარ შენ ასული არმაზისი?[4]" ამასთანავე ცნობილია ისიც, რომ იბერთა პანთეონში თვალსაჩინო ადგილი ეკავა ორს ქალ-ღმერთს: აინინას და ნინას[5], იბერებს ეჩქენებოდა, რომ ტყვე-ქალი გა-

[1] M. Brosset, Histoire de la Géorgie I, 80, not. 2.

[2] Журналы Совета Петербург. Духов. Академии 1896—7 г. стр. 263, прим. 2.

[3] Проф. Н. Эмин, Исследования и статьи по армянской мифологии, археологии, истории и литературе. Москва 1896 г. стр. 21. Проф. Г. Халатьянц. Армянский эпос в истории Армении Моисея Хоренского, стр. 292, Москва 1896 г.

[4] Е. Такайшвили. Описание II, 709. ქართლის ცხოვრება ვარიამ დედოფლისა, გვ. 28.

[5] Е. Такайшвили. Описание II, 768. საინტერესოა საკითხი ამ ქალ-ღმერთთა შესახებ. შეიწყნარებული უნდა იყოს ლიპარიტი ნ. მარრისა, ვითომც ამ შემთხვევაში საქმე გვაქვს ეროსადაშვილ ირანულ ღვთაებასთან, რომელსაც ჰქონია ანაჰიტა, resp. ანაჰიდა, ქართულ გალობებში აინინად ცნობილი. მიუღებელი [illegible] იყოს [illegible] ქართველ ტომთა სიტყვებიც, ვითომც ამ სახელებში ჩვენ რომელთა [illegible] ნინა [illegible] სახელები გვქონდეს შენახული. უფრო ახლო ვიკნებით სიმართლესთან, თუ ვიფიქრებთ, რომ აქ ჩვენ გვაქვს [illegible] ქალ-ღმერთთა, აინინა-ნინას, სახელები. ორივე ეს ღვთაება მოხსენებულია სუბერთა ბეფის გალობას (XIII წ. ბ. წინ) წარწერაში: „და [illegible]

საოცარ სასწაულებს. იხდენდა მათ შორის, აგრეთვე გამო შეეძლო [illegible] ის დასახელებულ ქალ-ღმერთთა განმორალიზებულ სიცოცხლეს და მაგ თვისებიათ მისთვის მათი სახელი, ქართულ გამოთქმაში ნინად resp. ნინოდ ქცეული. ამ ჰიპოთეზს ბაძავს უკვერენ ქართველი ჰაგიოგრაფი და ისტორიკოსი გელასი კესარიელი. ჰაგიოგრაფის გადმოცემით, მირიანი, გაკვირვებული ტაძვე-ქალის სასწაულთმოქმედებით, ეუბნება მას: „ჰ დედაკაცო, რომელსა [illegible] იქმ შენ კერპნებათა ამათ, ანუ ხარ შენ ასული არმაზისი ანუ შვილი ხადენისი"? გელასი კესარიელი აცბობს: „ტაძვე-ქალს ეშინოდა ხალხის უმეცრების, რათა, მშობლიური ცრუმორწმუნეობის გავლენით, ქრისტეს თაყვანისცემა მასზე არ გადავიტანათ". ტაძვე-ქალმა, ალბათ, ერთხელ უკვე გამოსცადა იბერთა „მშობლიური ცრუმორწმუნეობის გავლენა", როდესაც ზემოალნიშნულ ქალღმერთთა თაყვანისცემა მასზე გადაიტანეს, ხოლო მათი მოქცევის შემდეგ შიშს გამოსთქვამს ეხლა ქრისტეს თაყვანისცემა არ გადმოიტანონ ჩემზედაო.

XVI.

როდესაც ცოტად თუ ბევრად გათვალისწინებულია რეალური სურათი აღმოსავლეთ-საქართველოში ქრისტიანობის შემოსვლისა და დამყარებისა, გასაგები ხდება ის, პირველი შეხედვით გაუგებარი, მოვლენა, რომ ქართლის განმანათლებელად ძველად გრიგოლ პართელიც მიაჩნდათ და წმ. ნინოც.

გრიგოლ პართელის სამისიონერო მოღვაწეობას, როგორც ცნობილია, ადგილი ჰქონდა რომის იმპერიის ერთერთს სომხეთს პატარა პროვინციაში. საზოგადოდ სომხეთში კი ქრისტიანობა, როგორცა ვთქვით, უკვე მესამე საუკუნის დამდეგიდან შემოდიოდა. პირველად გრიგოლის მოღვაწეობის შესახებ არსებობდა ზეპირი თქმულება; ეს თქმულება ბერძნებისა და ბერძენთმოყვარული სომხების ეროხებით თანდათან ვრცელდებოდა და ივსებოდა. და ერთი პატარა უმნიშვნელო, პროვინციალური მისიონერი

ღმერთ-ქალ ნინასთან და შესთხოვა: ნინავ დედოფალო, დაეფარეთ ახლა წყალობა-დედოფალო.... შენ ხარ შეამდგომელი, დედოფალი ქვეყანათა, დედა, ამბავნელი სიბრძნეთა" (ალ. სვანიძე, ქართული ღმერთები ანინა და ნინა, ეროვნული განათლება 1914 წ. მარტი, გვ. 204-207). აქედან ჩანს, რომ ნინა ქალღმერთი ყოფილა, ულოფლად და დედად მიჩნეული.

ბოლოსადამდლის მთელი სომხეთის განმანათლებელად [illegible] ეს გრიგოლი მთელი სომხეთის განმანათლებელია. [illegible] ქართველთა ქრისტიანების თვალში, განმანათლებელია გუგარქისაც. კინაიდან გუგარქი გრიგოლის დროს სომხეთის ფარგლებში იმყოფებოდა ასეთი აზრი მით უფრო განმტკიცდებოდა, რომ ნამდვილად, რეალურად, გუგარქში მართლაც სომხეთის გზით შემოვიდა ალმოსავლეთიდან ქრისტიანობა და იმ მისიონერების ქადაგებით, რომელიც ის ნამდვილს სომხეთში გადმონერგეს. როდესაც გუგარქი იბერიის სამეფოს შეუერთდა და მისი სახელი, ქართლი, პოლიტიკურ ტერმინად, მთელი ალმოსავლეთ-საქართველოს სახელად იქცა. გრიგოლიც მთელი ალმოსავლეთ-საქართველოს განმანათლებლად იქმნა აღიარებული. ასე რომ გრიგოლის შესახებ თქმულება იბერიაში გუგარქელებმა შეიტანეს. მათ შეუქმნეს მას სახელი მთელი ალმოსავლეთ-საქართველოს განმანათლებელისა. აი ამნაირად დამყარდა და განმტკიცდა ის აზრი, რომ გრიგოლ პართელი განმანათლებელია არა პარტო სომხეთისა, არამედ ქართველებისაც.

რაც შეეხება ტყვე-დედაკაცის, ნინოს, ქადაგებას, იმას როგორც გამოირკვა, ადგილი ჰქონდა იბერია-ჰერეთში. მართლაც, როდესაც ჩვენ ვჰკითხულობთ წმ. ნინოს ცხოვრებას, ვხედავთ, რომ მისი სამისიონერო მოღვაწეობა იწყება მცხეთაში. მერე ადის მთიულეთში და სრულდება ბოდინში ან ბოდბეში, ამ საზღვრებს ის არ სცილდება; ამ საზღვრებში კი, როგორც ვიცით, მოქცეული იყო ჰერეთი-იბერია. ამნაირად, ალმოსავლეთის ქართველებს ორი მისიონერი ჰყოლიათ: მტკვრის სამხრეთით, ეგრეთწოდებულს გუგარქში, ქრისტიანობა გაუვრცელებიათ სომხეთში მომქმედ მისიონერებს, რომელნიც შემდეგ გრიგოლ განმანათლებელის პიროვნებაში განსახიერებულან. ხოლო მტკვრის ჩრდილოეთით, იბერია-ჰერეთში, ტყვე-დედაკაცს, რომელსაც ჩვენ ნინოს ვუწოდებთ. ასე რომ, როდესაც ეს ორი ნაწილი გაერთიანდა პოლიტიკურად, ეკლესიურად და კულტურულად, აქ შეხვდენ ერთმანეთს გრიგოლისა და ნინოს სახელები, როგორც ქართველთა განმანათლებლებისა.

ამ ორს სხვადასხვა ტრადიციას ადრე მიაქციეს ყურადღება, როგორც სომხებმა, ისე ქართველებმა. და მოინდომეს ისათი შეერთება. ეს შეესრულებია იმ მწერალს, რომელსაც ჩვენ მოსე ხორენელის სახელით ვიცნობთ: იმისი თქმით, ქართველები წმ. ნინომ მოაქცია.

[1]. Н. Марр. Крещение армян, грузин, аланов и абхазов, стр. 149-158. Н. Адонц. Армения в эпоху Юстиниана, стр. 341.

მაგრამ ის არ იყო დამოუკიდებელი მისიონერი. ის ქართველებმა გაგზავნა ვრიგოლმა, რომელსაც ნინო ანგარიშს აძლევს თავგადასავლის მედებაში და რჩევას ეკითხება. როგორ მოვიქცეო. ჩანს, ამ კომუნიკაციას ქართველებიც იხიარებდენ, ვინაიდან „მოქცევაჲ ქართლისაჲს" ავტორს ნინო გამოყვანილი ჰყავს როფსიმეანად. ესე იგი იმ ქალწულთა ამბასაგად, რომელნიც სომხეთში ეწამნენ და რომელთა სახელი გრიგოლთანაა დაკავშირებული. მაგრამ, როდესაც სომეხ-ქართველთა ეკლესიური და საერმუნოებრივი დამოკიდებულება ისე გამწვავდა, რომ გრიგოლის ქართველთა განმანათლებლობა სათაკილო შეიქნა ქართველთა ეროვნული თავმოყვარეობისა და თვითშეგნებისათვის ერთი მხრით, ხოლო მეორე მხრით დოლმატურად მიულებელი, ვინაიდან სომხები მწვალებლებად იქმნენ აღიარებულნი. საქართველოში მეოხრე-მეათე საუკუნეში გადამუშავდა საგანგებოდ წმ. ნინოს ცხოვრება, რომელსაც მიზნად აქვს დასახული დააბტაკოს, რომ გრიგოლ პართელს, არც სხვა რომელიმე სომხის მისიონერს, წილი არ უძევს ქართველთა განათლების საქმეში, მათ ჰყავთ საკუთარი, გრიგოლისაგან დამოუკიდებელი განმანათლებელი, წმ. ნინო, რომელიც იერუსალიმში დაიბადა და აღიზარდა და რომელმაც ქრისტიანობა საბერძნეთიდან მოიტანა. ამის შემდეგ, ესე იგი მეცხრე-მეათე საუკუნიდან, ნინო აღიარებულ იქმნა აღმოსავლეთ-საქართველოს განმანათლებელად: ამ დროიდან გრიგოლის სახელი, როგორც ქართველთა განმანათლებლისა, იდევნება და დავიწყებას ეძლევა.

* * *

ამნაირად, ქართველთა გაქრისტიანების შესახებ ჩვენ შემდეგს დასკვნამდე მივდიეართ:

1. არცერთი მოციქული ქრისტესი საქართველოში არ ყოფილა და აქ ახალი მოძღვრება არ უქადაგნია: თქმულება მოციქულთა სამისიონერო მოღვაწეობის შესახებ ჩვენში ფეხს იკიდებს ბოლოდ მეათე საუკუნიდან.

2. რადგანაც ქართველი ტომები სხვადასხვა კულტურულ-ისტორიულ პირობებში ცხოვრობდენ, ქრისტიანობა მათში სხვადასხვა დროს და სხვადასხვა წყაროდან შემოდიოდა.

3. დასავლეთ-საქართველოში ქრისტიანობა შემოდიოდა საბერძნეთიდან უმთავრესად: აქ ის საბოლოოდ დამყარებულა მეექვსე საუკუნის პირველ ნახევარში.

4. ალმოსავლეთ-საქართველოში ქრისტიანობა უკვე ადრეულ ეტაპზე შემოსულა; აქ დამყარებულა ალმოსავლური, იერუსალიმური, ქრისტიანობა სირია-სომხეთის გზით.

5. პირველად ქრისტიანობა აქ შემოსულა ეთნოგრაფიულს ქართლში ან ბერძნულს გოგარენსა და სომხურს გუგარქში; რადგანაც ეს მხარე მეოთხე საუკუნის ნახევრამდე სომხეთის ფარგლებში იმყოფებოდა, ის სომხეთთან ერთად ქრისტიანდებოდა. მესამე საუკუნის გასულისათვის ის საბოლოოდ მოქცეული ყოფილა იმ მისიონერთა ქადაგებით, რომელთაც სომხები მოაქციეს და რომელნიც შემდეგ გრიგოლ პართელის პიროვნებაში იქმნენ განსახიერებულნი.

6. კლასიკურ მწერალთა იბერია, რომელიც ქართული ტერმინოლოგიით ჭერეთი უნდა იყოს, მოუქცევია გუგარქელ ტყვე-ქალს, რომელსაც მიუღია ადგილობრივ ქალღმერთთა აინინას და ნინას, ანადა სომეხთა ქალღმერთის ნანეს, სახელი ნინა resp. ნინო.

7. იბერიის მოქცევის პირველწყაროდ ყოფილა გელასი კესარიელი და არა რუფინოზი; უკანასკნელს მხოლოდ უთარგმნია ლათინურად გელასის შრომა.

8. პირველი ქრისტიანი მეფე იბერიისა არის მირიანი და არა „დიდი ბაკური", როგორც ეს პეტრე მაჯუმელის ასურულ ცხოვრებაშია ნათქვამი.

9. იბერია მოქცეულა არა კონსტანტინე დიდის დროს, არამედ მისი შვილის კონსტანტის მეფობაში.

10. მოქცეულა იბერია იმავე დროს, რა დროსაც ეთიოპია მოიქცა, ესე იგი 355-356 წლებში; მისი მოქცევა დააჩქარა, ალბათ, ქართლ-გუგარქის საბოლოოდ შემოერთებამ 349 წელს.

11. ამ დათარიღებას მხარს უჭერს აგრეთვე ასტრონომიული ქრონოლოგიაც, რომელიც 355 წელს მართლაც აღნიშნავს მზის დაბნელებას და ამით ადასტურებს ისტორიკოსთა შესაფერ თქმულებას.

12. კონსტანტინე დიდის სახელი, ნაცვლად კონსტანტისა, იბერთა მოქცევის ისტორიაში გაჩნდა ან კონფესიონალური მოსაზრებით, ან შეცთომით, ან ბერძნული Onomasticonის თავისებურებით.

13. როდესაც იბერია და გუგარქი გაერთიანებულან პოლიტიკურად და კულტურულად, აქ განმტკიცებულა ორგვარი ტრადიცია: ერთი, გუგარქიდან შემოტანილი, ქართველთა განმანათლებელად სთვლიდა გრიგოლ პართელს, მეორე, იბერიაში აღმოცენებული, ტყვე-ქალს ნინოს.